2015

მიგრაციის
საკითხთა
სამთავრობო
კომისია

საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი

მადლობის ნიშნად

2015 წლის მიგრაციის პროფილის შემუშავება შეუძლებელი იქნებოდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ყველა წევრის მონაწილეობისა და დახმარების გარეშე.[1] მათ არა მხოლოდ მოგვაწოდეს ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემების დიდი ნაწილი, არამედ გაგვიზიარეს სასარგებლო რეკომენდაციები, რომლებიც დაგვეხმარა მონაცემთა ინტერპრეტაციისას, რათა ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ყოვლისმომცველი სურათი წარმოგვედგინა.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია მადლობას უხდის ევროკავშირს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრს (ICMPD, კერძოდ, პროექტ ENIGMMA-ს) და პრაღის პროცესს, პროფილის სამუშაო ვერსიის განხილვასა და დახვეწაში დახმარებისათვის, ასევე მიგრაციის პროფილის დოკუმენტის შემუშავებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობისთვისაც, რამაც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსა და მის ანალიტიკურ განყოფილებას საშუალება მისცა გაცნობოდა მიგრაციის პროფილის შემუშავების საუკეთესო პრაქტიკებს და გამოეყენებინა ისინი მუშაობის პროცესში.

და ბოლოს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია დაეყრდნობა მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების გამოცდილებასა და რეკომენდაციებს, რათა კიდევ უფრო დახვეწოს მიგრაციის პროფილის შემუშავების პროცესი და უზრუნველყოს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდეს სანდო რესურსს მიგრაციის სფეროში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის, იქნება ეს აკადემიური კვლევის, განათლების, პოლიტიკის შემუშავებისა თუ მართვის მიმართულებები.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

[1] <u>მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრები</u>: იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სარჩევი

მოკლე შინაარსი 7

ნაწილი A: მიგრაციული ტენდენციები 11

A1. სიტუაციის მიმოხილვა 11

A2. ემიგრაცია 13

ემიგრაციის მიმოხილვა 13

ემიგრანტების მიმოხილვა 14

ლეგალური ემიგრაცია 16

საერთაშორისო დაცვა 19

ქართველ ემიგრანტთა უკანონო მიგრაცია 22

A3. იმიგრაცია 25

იმიგრაციის მიმოხილვა 25

იმიგრანტთა მიმოხილვა 25

საერთაშორისო დაცვა 33

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი იმიგრანტები 36

A4. დაბრუნებითი მიგრაცია 37

A5. შიდა მიგრაცია 40

იძულებით გადაადგილებული პირები 40

ეკოლოგიური მიგრანტები 42

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში 43

A6. ადამიანით ვაჭრობა 46

ნაწილი B. მიგრაციის გავლენა 50

B1. დემოგრაფიული ასპექტი 50

B2. ეკონომიკური ასპექტი 51

ფულადი გზავნილები 51

იმიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენა 56

დიასპორის ჩართულობა 59

უნარ-ჩვევების განვითარება და ცოდნის ქსელები 61

B3. სოციალური ასპექტი - ინტეგრაცია 65

დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაცია 65

უცხოელთა ინტეგრაცია 67

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია 68

შიდა მიგრანტების ინტეგრაცია 69

ნაწილი C. მიგრაციის მართვა 71

C1. მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო 71
C2. საკანონმდებლო ჩარჩო 74
C3. ინსტიტუციური ჩარჩო 75
ნაწილი D. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 77
D1. ძირითადი მიგნებების ანალიზი 77
D2. ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები 78

შემოკლებების ჩამონათვალი

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
AA	ასოცირების შეთანხმება
Chevening	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საერთაშორისო გრანტების პროგრამა
CRRC	კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრები
DAAD	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
EC	ევროკომისია
EBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი
ENIGMMA	პროექტი - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ /ICMPD/ განხორციელებული პროექტი)
FRAN	ფრონტექსის* რისკების ანალიზის ქსელი
ERASMUS	ევროკავშირის პროგრამა - „ერაზმუსი“, რომლის მიზანია განათლების, პროფესიული მომზადების, ახალგაზრდებისა და სპორტის განვითარება
FRONTEX*	ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტო (ფრონტექსი)
ETF	ევროპის სატრენინგო ფონდი
EUI	ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტი
Eurostat	ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური
GINI	შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის ინდექსი
HDI	ჰუმანური (ადამიანური) განვითარების ინდექსი
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISET	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
MPC	მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი
Edmund S. Muskie	აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სამაგისტრო სტიპენდიების პროგრამა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
TACIS	ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობისთვის
TEMPUS	„ტემპუსი“ - ევროკავშირის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მოდერნიზაციას ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში (2007-2013)
UN DESA	გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი

UNDP	გაერო-ს განვითარების პროგრამა
UNHCR	გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
Росстат	რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური

მოკლე შინაარსი

2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი შეიმუშავა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტ - ENIGMMA-ს დახმარებით. 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი ხუთწლიან პერიოდს (2010-2014) მოიცავს და მასში თავმოყრილია უახლესი მონაცემები, რომლებიც შეგროვდა მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებაში, მართვასა და მონაცემთა შეგროვებაში ჩართული საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით. ამასთანავე, საქართველოს მიგრაციული პროცესების სრული სურათის შესაქმნელად, მიგრაციის პროფილში გამოყენებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, ისევე როგორც მსოფლიო ბანკის, გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UN DESA), ევროსტატის (Eurostat) და ევროკავშირისა და გაერო-ს შესაბამისი სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ შეგროვებული მონაცემები.

2015 წლის მიგრაციის პროფილი ყველა დაინტერესებულ მხარეს სთავაზობს შესაბამის მონაცემებსა და მათ ანალიზს, რათა წარმოადგინოს ყოვლისმომცველი სურათი საქართველოს მიგრაციული პროცესების განვითარების მნიშვნელოვან პერიოდთან დაკავშირებით. კერძოდ, საუბარია საქართველოს არა მხოლოდ სატრანზიტო და ემიგრაციის, არამედ იმიგრაციის ქვეყნად ჩამოყალიბებაზე. მიგრაციული პროცესები საქართველოდან/საქართველოსკენ უფრო მრავალფეროვანი ხდება წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნების, ასევე ემიგრაციისა და იმიგრაციის მახასიათებლების მიხედვით. საქართველო მუდმივად აუმჯობესებს საერთაშორისო დაცვის მექანიზმებს და ამკვიდრებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს როგორც იმიგრანტების, ასევე დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებები მათი წარმატებული ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. მიგრაციის პროფილი, ასევე განსაზღვრავს პოლიტიკის მიმართულებებს და მონაცემთა შეგროვების კუთხით არსებულ ხარვეზებს, რაც უნდა გახდეს შემდგომი კვლევისა და ანალიზის საგანი.

პროფილის ბოლო ნაწილში წარმოდგენილ ძირითად დასკვნებსა და რეკომენდაციებს შორის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების გაუმჯობესებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგს:

- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, რომლებიც 2016 წლის გაზაფხულზე გახდება ხელმისაწვდომი, საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ინფორმაცია მოსახლეობის დინამიკის შესახებ და შევაფასოთ ბოლო 12 წლის მანძილზე ემიგრაციის, იმიგრაციისა და დაბრუნებითი მიგრაციის ტემპი;
- მიგრაციის მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული შესაძლებლობები (მაგ., 2016 წელს მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის ამოქმედება) წარმოადგენს მიგრაციის რისკების ანალიზისა და პრევენციის საფუძველს და საშუალებას მოგვცემს რეგულარულად განვახორციელოთ მიგრაციის მონაცემთა შეგროვება და ანალიზი არსებული ტენდენციების გამოსავლენად;
- სულ უფრო თვალსაჩინო ხდება იმიგრაციისა და ემიგრაციის გავლენა ქვეყნის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, რაც საჭიროებს უფრო საფუძვლიან კვლევას, როგორც პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების, ისე აკადემიური კვლევის კუთხით;
- საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, საჭიროა დიასპორის ჩართულობის ხელშემწყობი გარემოს შემდგომი განვითარება და მიგრანტების დაბრუნების მდგრადობის ხელშეწყობა.

საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის შემუშავებისას, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), პრაღის პროცესისა (მიგრაციის ვრცელი პროფილი და მიგრაციის საბაზისო პროფილი) და ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის (EUI) მიგრაციის პოლიტიკის ცენტრის მიერ შემუშავებული მიგრაციის პროფილის არსებული ფორმატები, დაგვეხმარა დოკუმენტის საბოლოო სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილის შემუშავებისას უფრო მეტი ყურადღება დაეთმო გამოვლენილი ტენდენციების ახსნას, ვიდრე დაუმუშავებელი მონაცემების წარმოდგენას. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ შემუშავებული მიგრაციის პროფილის სახელმძღვანელო დამატებით ინფორმაციას გვაწვდის მიგრაციის პროფილის საშუალო ფორმატზე მუშაობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ფორმატი საკმაოდ მოქნილია რათა გაითვალისწინოს ქვეყნებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიგრაციული კონტექსტები და შესაბამისად, წარმოადგენს საიმედო რესურსს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის და აკადემიური კვლევისა და სწავლებისთვის.

ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ[2]



საქართველო: ძირითადი ფაქტები	
ფართობი	69,700 კმ²
სახმელეთო საზღვრები	1,814 კმ
მოსაზღვრე ქვეყნები	სომხეთი (219 კმ)
	აზერბაიჯანი (428 კმ)
	თურქეთი (273 კმ)
	რუსეთი (894 კმ)
სანაპირო ზოლი	310 კმ
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში)	3,676.2 აშშ დოლარი (2014 წლის მდგომარეობით)
მოსახლეობა	3,729,500 (2015 წლის იანვრის მდგომარეობით)[3]
ეთნიკური შემადგენლობა (2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით)	ქართველი - 83.8%
	აზერბაიჯანელი - 6.5%
	სომეხი - 5.7%
	რუსი - 1.5%
	სხვა - 2.5%
დედაქალაქი	თბილისი
დედაქალაქის მოსახლეობა	1,118,300 (2015 წლის იანვრის მდგომარეობით)
სახელმწიფო ენები	ქართული, აფხაზური (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში)

[2] ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015 წ., http://migration.commission.ge/files/immigration_eng.pdf

[3] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=152&lang=eng

ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	3.1% (2014 წლის იანვრის მდგომარეობით)[4]
მოსახლეობა ქალაქად	57.4% (2015 წლის იანვრის მდგომარეობით)
პრეზიდენტი	გიორგი მარგველაშვილი
პრემიერ-მინისტრი	ირაკლი ღარიბაშვილი

[4] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=152&lang=eng

ნაწილი A: მიგრაციული ტენდენციები

A1. სიტუაციის მიმოხილვა

რთულია ერთი ძირითადი ფაქტორის გამოყოფა, რომელიც ხელს უწყობს იმიგრაციას საქართველოში და/ან ემიგრაციას საქართველოდან. ეს ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია, როგორც ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისე ადამიანების ინდივიდუალურ მიზეზებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია ძირითადად გამოწვეული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებით (ბოლოს - 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად). მას შემდეგ, ქვეყანამ მიაღწია შედარებით სტაბილურ პოლიტიკურ მდგომარეობას და მიგრაციული პროცესების ჩამოყალიბებაში უფრო მნიშვნელოვანი გახდა სხვა - ეკონომიკური და სოციალური - ფაქტორები.

იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ძირითადად მიდიოდნენ და მიდიან ქართველი მიგრანტები, საქართველოს ეკონომიკა შედარებით უფრო შეზღუდულ დასაქმების შესაძლებლობებს, ანაზღაურებას, სოციალურ დახმარებასა და შეღავათებს, თუ ცხოვრების ხარისხს სთავაზობდა მოქალაქეებს. ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად, საქართველოში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო სამეწარმეო საქმიანობისთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად, რათა გაზრდილიყო უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, შექმნილიყო ახალი სამუშაო ადგილები, წახალისებულიყო სამეწარმეო საქმიანობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში და გაუმჯობესებულიყო მოქალაქეთა კეთილდღეობის დონე. საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და ინიციატივების დადებითი შედეგები ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში (მაგ., მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთება 2015“ („Doing Business 2015“)[5] რეიტინგში საქართველო 189 ქვეყანას შორის მე-15 ადგილზეა).[6]

სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების მიხედვით, საქართველოს მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ კარგი პოზიცია უკავია. 2012 და 2013 წლებში, ჯანდაცვის ხარჯების წილი მშპ-ს 8.2% და 9.4%-ს შეადგენდა.[7] 2014 წელს, ჯანმრთელობის დაზღვევის რეფორმის ფარგლებში, დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. პროგრამამ უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის.

საჯარო საშუალო განათლების ხარისხი საქართველოში საჭიროებს გაუმჯობესებას - ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები საშუალოზე დაბალ ქულებს იღებენ საერთაშორისო ტესტირებებში (მაგალითად, სკოლის მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო კვლევა /PIRLS/, [8] მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა /TIMSS/). [9] თუმცა, შესამჩნევად უმჯობესდება უმაღლესი განათლების დონე. მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - რეიტინგი, როგორც მსოფლიო (2013 წელს 2,006-ე ადგილიდან - 830-ე ადგილზე 2014 წელს), ისე ევროპულ (2013 წელს 713-ე ადგილიდან - 394-ე ადგილზე 2014 წელს) უნივერსიტეტებს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. [10] შედეგად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო

[5] http://www.economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia/doing-business

[6] http://www.doingbusiness.org/~/media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Annual-Reports/English/DB15-Full-Report.pdf

[7] სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[8] http://www.naec.ge/saerthashoriso-kvlevebi-da-shefaseba/tsignebis-saerthashoriso-kvleva.html?lang=ka-GE

[9] http://www.naec.ge/saerthashoriso-kvlevebi-da-shefaseba/mathematikisa-da-sabunebismetyvelo-sagnebis-stsavlisa-da-stsavlebis-kvleva.html?lang=ka-GE. იხ. ასევე: http://www.radiotavisupleba.ge/content/schools-problems-3/24944574.html

[10] http://www.webometrics.info/en/Ranking_Europe?page=3

დაწესებულებებმა მოიზიდეს განათლების მიღების მიზნით ჩამოსული შედარებით მეტი იმიგრანტი. განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის დონეს ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება და 2014 წელს სტუდენტთა მთელი რაოდენობის 7.6% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2010 წელს ეს მაჩვენებელი 1.6%-ს შეადგენდა.[11]

გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ჰუმანური (ადამიანური) განვითარების ინდექსის (HDI) თანახმად, [12] რომელიც სამი ძირითადი განზომილების შეფასების საფუძველზე გამოითვლება (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა [13] და მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე) [14] 2013 წელს საქართველოს 187 ქვეყანას შორის 79-ე ადგილი ეკავა. ამ შედეგით საქართველო მიეკუთვნება ჰუმანური (ადამიანური) განვითარების მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნების ჯგუფს (ჰუმანური (ადამიანური) განვითარების საშუალო ინდექსი 0.735), თუმცა ჩამორჩება ჰუმანური (ადამიანური) განვითარების ძალიან მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნებს (ჰუმანური(ადამიანური) განვითარების საშუალო ინდექსი 0.890).

ამავდროულად, სიღარიბე კვლავ რჩება ერთ-ერთ გამოწვევად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტი, ისევე როგორც აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი, შემცირდა ამ პერიოდის განმავლობაში, „სიღარიბის დონის შემცირება ძირითადად გამოიწვია 2012 წელს საკვებ პროდუქტებზე ფასების შემცირებამ და სოციალური დახმარებების ზრდამ, როგორიცაა სოციალური შემწეობა, სახელმწიფო პენსია ასაკით პენსიონერთათვის და ფულადი გზავნილების ნაკადები“.[15]

შემოსავლისა და მოხმარების თვალსაზრისით, „2003-2009 წლებში, მოსახლეობის ზედა 20%-ის შემოსავალი და მოხმარება 26%-ზე მეტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ქვედა 20%-ისა - მხოლოდ 10%-ით. მოსახლეობის ქვედა 20%-სთვის მატება უმეტესწილად 2007-2008 წლებში მოხდა უფრო მაღალი სახელმწიფო პენსიების შემოღებისა და მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელების შედეგად“. [16] GINI-ს კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, შედარებით სტაბილური იყო 2006-2014 წლებში და მერყეობდა 0.40-ის ფარგლებში; ის მხოლოდ 2010 წელს გაიზარდა მცირედით და მიაღწია ამ წლებისთვის მაქსიმალურ მაჩვენებელს (0.43).

საქართველოდან ემიგრაცია ძირითადად შრომით ხასიათს ატარებს. [17] ამავდროულად, განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობები, ისევე როგორც ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ხელს უწყობს ქვეყნიდან ემიგრაციას. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე

---

[11] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

[12] http://hdr.undp.org/en/content/table-2-human-development-index-trends-1980-2013

[13] სკოლაში გატარებული წლების რაოდენობა

[14] http://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi

[15] Asian Development Bank. Country Partnership Strategy: Georgia, 2014–2018 POVERTY ANALYSIS (SUMMARY) http://www.adb.org/sites/default/files/linked-documents/cps-geo-2014-2018-pa.pdf

[16] Asian Development Bank. Country Partnership Strategy: Georgia, 2014–2018 POVERTY ANALYSIS (SUMMARY) http://www.adb.org/sites/default/files/linked-documents/cps-geo-2014-2018-pa.pdf

[17] European Training Foundation Migration and Skills in Georgia, 2012, http://www.etf.europa.eu/webatt.nsf/0/226927FBAE4DA4E2C1257B4D0043A93E/$file/Migration&skills_Georgia.pdf; Labadze Lasha and Tukhashvili Mirian, Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the Eastern Partnership Partner Countries Country report: Georgia, 2013 http://www.iza.org/files/ENPIgeorgia.pdf

ჩამოყალიბებული მიგრაციული ქსელები, რომელთაც შეუძლიათ საგრძნობლად შეუწყონ ხელი საქართველოს მოქალაქეების ემიგრაციას მომავალში.

იმიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები დაკავშირებულია საქართველოში ბიზნესის წარმართვის შედარებით სიმარტივესთან და სამეწარმეო ნიშების არსებობასთან, რომელთაც ხშირად იმიგრანტები იკავებენ. [18] გარდა ამისა, საგანმანათლებლო შესაძლებლობები - სწავლის შედარებით დაბალი საფასური და საქართველოში ცხოვრებასა და სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები, განათლების ხარისხი, საქართველოში გაცემული დიპლომის აღიარება საზღვარგარეთ, ისევე როგორც პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება - ასევე იზიდავს განათლების მიღების მიზნით ჩამოსულ იმიგრანტებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იმიგრაცია, როგორც ასეთი, ქვეყნისთვის სიახლეს წარმოადგენს, მისი ზეგავლენა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურასა და ეკონომიკურ განვითარებაზე საჭიროებს უფრო საფუძვლიან შესწავლას.

შესაბამისად, როგორც ემიგრაციის, ისე იმიგრაციის შემთხვევაში, ძირითადი მამოძრავებელი ძალები დაკავშირებულია უფრო ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა ცხოვრების ხარისხი, განათლებისა და ჯანდაცვის ხარისხი, სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობა, კარგად ანაზღაურებადი სამსახურების სიმწირე, ვიდრე პოლიტიკურ სტაბილურობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფაქტორებთან.

A2. ემიგრაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან ემიგრაციის მახასიათებლები, მოცულობა და მიმართულებები. დღეისათვის ქართველი მიგრანტების ჯგუფების [19] პოვნა სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც ასევე სხვადასხვა ქვეყნისკენ არის მიმართული. თუმცა, საქართველოდან მიგრაციული ტენდენციების კვლევა რთულია სანდო სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობისა და მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდოლოგიის გამო. შესაბამისად, დიდი სიფრთხილე გვმართებს სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით შეგროვებული მონაცემების გამოყენებისას და შედარებისას.

ემიგრაციის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ყოველწლიურად აქვეყნებს მიგრანტთა ნაკადების ქვეყანაში შემოდინებისა და ქვეყნიდან გადინების სტატისტიკას (იხ. ცხრილი 1). მოქალაქეობის მიხედვით, იმიგრანტები და ემიგრანტები ძირითადად საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან - რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა - ჩამოდიან, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოსული მიგრანტების ჯგუფები საკმაოდ მცირე ზომისაა.

[18] იმიგრანტთა ეკონომიკური საქმიანობა განხილულია წინამდებარე პროფილის ეკონომიკური ასპექტის ნაწილში.

[19] რადგან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის „migrant stocks“ დამკვირდებული თარგმანი, წინამდებარე დოკუმენტში ის თარგმნილია როგორც „მიგრანტების ჯგუფები“.

ცხრილი 1: ემიგრანტთა და იმიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით, 2014 წ.

მოქალაქეობა	2014					
	ემიგრანტი			იმიგრანტი		
	სულ	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი
საქართველო	69,855	40,221	29,634	49,706	29,047	20,659
რუსეთის ფედერაცია	5,424	3,065	2,359	9,692	5,224	4,468
თურქეთი	2,395	1,785	610	4,672	3,617	1,055
სომხეთი	2,821	1,684	1,137	3,856	2,313	1,543
აზერბაიჯანი	1,254	697	557	2,163	1,175	988
უკრაინა	762	419	343	1,552	757	795
ერაყი	333	261	72	1,777	1,491	286
აშშ	690	436	254	883	537	346
საბერძნეთი	371	211	160	997	545	452
ირანი	392	284	108	825	575	250
სხვა ქვეყნები	4,338	2,748	1,590	5,923	3,586	2,337
მოქალაქეობის გარეშე	69	47	22	115	71	44
სულ	**88,704**	**51,858**	**36,846**	**82,161**	**48,938**	**33,223**

წყარო: *საქსტატი*

საქსტატის მიგრაციის სალდოს მონაცემები ცვალებადი იყო ბოლო 10 წლის განმავლობაში.[20] სავარაუდოდ, ეს ცვალებადობა ნაწილობრივ გამოწვეული იყო ამ წლების მანძილზე საქსტატის მიერ მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდოლოგიების გამოყენების გამო[21] და ნაწილობრივ - მიგრაციის მახასიათებლების ცვლილებით.

საქსტატი არ აგროვებს ინფორმაციას ემიგრანტთა დანიშნულების ქვეყნის შესახებ. აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, თუ რომელი ქვეყნებისკენ არის მიმართული ქართველ ემიგრანტთა ნაკადები. თუმცა, არსებული კვლევების შედეგებზე და უკვე ჩამოყალიბებული დიასპორისა და მიგრაციულ ქსელებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველ ემიგრანტთა ძირითად დანიშნულების ქვეყნებს შესაძლოა წარმოადგენდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ემიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების გაუმჯობესების მიზნით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ დაიწყო მიგრაციის ერთიან ანალიტიკურ სისტემაზე მუშაობა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მონაცემთა შეგროვებასა და მისი ანალიზის ხარისხს.

ემიგრანტების მიმოხილვა

საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მიგრანტების მიმოხილვა ეფუძნება მიგრანტთა ჯგუფების მონაცემთა მრავალფეროვან წყაროებსა და შეფასებებს (იხ. ცხრილი 2). ყველა ქვემოთ წარმოდგენილი წყაროს მიხედვით, რუსეთში ყველაზე დიდი რაოდენობის ქართველი ემიგრანტია, საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით. საქართველოში დაბადებული ინდივიდების, ან საქართველოს მოქალაქეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა გვხვდება ასევე უკრაინაში, საბერძნეთსა და სომხეთში. სხვა ქვეყნების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ემიგრანტთა ნაწილს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები შეადგენენ, რომლებმაც საქართველო დატოვეს საბჭოთა კავშირის

[20] ICMPD, 2015, The State of Migration in Georgia, ანგარიში, http://www.enigmma.ge/wp-content/uploads/2015/04/ENIGMMA-State-of-Migration_DRAFT.pdf

[21] ICMPD, 2015.

დაშლის შედეგად. დანიშნულების სხვა ქვეყნების შემთხვევაში, მაგალითად, ესპანეთი, გერმანია და აშშ, სავარაუდოდ, ემიგრანტთა ჯგუფების დიდი ნაწილი შრომითი, ან სწავლისა და ოჯახის გაერთიანების მიზნით წასული ემიგრანტებისგან შედგება.

ცხრილი 2: ქართველი ემიგრანტები ძირითადი ბინადრობის ქვეყნების მიხედვით, 1990-2013 წწ.

		UN DESA[1)]		UN DESA[1)]		UN DESA[1)]		UN DESA[1)]		მსოფლიო ბანკი[2)]		MPC [3)]
	მონაცემთა ტიპი	**1990 წ.**	**მონაცემთა ტიპი**	**2000 წ.**	**მონაცემთა ტიპი**	**2010 წ.**	**მონაცემთა ტიპი**	**2013 წ.**	**მონაცემთა ტიპი**	**2010 წ.**	**მონაცემთა ტიპი**	**2012 წ.**
რუსეთის ფედერაცია	B	656,888	B	625,298	B	441,793	B	436,005	n/a	644,390	B (2002 წ.)	628,973
უკრაინა	B	76,612	B	72,826	B	68,386	B	67,875	n/a	72,410	C (2001 წ.)	6,446
საბერძნეთი	C	23,963	C	21,283	C	36,628	C	37,912	n/a	41,817	B (2006 წ.)	13,254
სომხეთი	B R	1,603	B R	67,525	B R	36,329	B R	37,277	n/a	75,792	-	-
უზბეკეთი	B	31,462	B	25,154	B	23,288	B	23,175	n/a	-	-	-
კვიპროსი	B	3,802	B	6,950	B	13,388	B	17,994	n/a	13,497	-	-
აშშ	B	7,691	B	11,346	B	14,386	B	14,907	n/a	25,310	B (2011 წ.)	14,270
გერმანია	B	1,410	B	10,482	B	13,255	B	13,406	n/a	18,164	C (2012 წ.)	17,163
ესპანეთი	B	104	B	523	B	10,168	B	10,621	n/a	10,702	B (2012 წ.)	10,501
თურქეთი	B R	5,868	B R	6,443	B R	8,740	B R	9,512	n/a	7,295	C (2011 წ.)	1,740
ისრაელი	B R	25,921	B R	21,123	B R	9,328	B R	9,479	n/a	26,032	B (2005 წ.)	44,462
„სამხრეთის სხვა ქვეყნები“[4)]	-	-	-	-	-	-	-	-	n/a	98,123	-	-
ევროკავშირის 28 ქვეყანა		**39,695**		**50,566**		**100,313**		**108,728**		**95,992**		**-**
ყველა ქვეყანა		**890,120**		**913,777**		**734,065**		**738,733**		**1,058,300**		**767,489**

მონაცემთა ტიპები: საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობა (B), უცხო ქვეყნის მოქალაქეები (C), გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ლტოლვილები (R), მონაცემები არ არსებობს (n/a).

წყაროები: გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, 2013 წ.; მსოფლიო ბანკი, 2010 წ.; მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი, 2013 წ.; საკუთარი გამოთვლები.

1) გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, 2013 წ,; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. საანგარიშო წლის, კერძოდ 1990, 2000, 2010 და 2013 წლების 1 ივლისის მონაცემები;

2) მსოფლიო ბანკი, 2010 წ. მონაცემები დაფუძნებულია 2008 წელს გადათვლილ გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მონაცემებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობას და აგრეთვე რათჰასა და შოუს კვლევაზე (Ratha and Shaw 2007). ბოლო მონაცემები მოცემულია 2010 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. არ არის მითითებული გათვალისწინებულია თუ არა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მონაცემები;

3) მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი, 2013 წ., ეროვნულ მონაცემებზე დაყრდნობით. სომხეთის, უზბეკეთისა და კვიპროსის მონაცემები არ არის მოცემული. არ არის მითითებული გათვალისწინებულია თუ არა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მონაცემები;

4) რათჰასა და შოუს კვლევა ქვეყნებს შორის ანაწილებს „დაუდგენელ“ (unidentified) მიგრანტებს, ანუ იმ პირებს, რომელთა წარმოშობის, ან დანიშნულების ქვეყანა უცნობია. აღნიშნულის შედეგად ვიღებთ დაახლოებით მონაცემებს ქართველ ემიგრანტთა შესახებ დაუზუსტებელ ქვეყნებში, მაგალითად, როდესაც ემიგრანტი არ ან ვერ იძლევა ინფორმაციას მისი დაბადების ან მოქალაქეობის ქვეყნის შესახებ.

ლეგალური ემიგრაცია

სავიზო განაცხადები

2010 წელთან შედარებით, 2014 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის *შენგენის* ვიზის მიღებაზე (მათ შორის, მრავალჯერად ვიზაზე) უარის მაჩვენებლის წილი შემცირდა 12.7%-მდე.[22] მრავალჯერად ვიზებზე უარის მაჩვენებლის წილი უარების მთლიანი ოდენობის ერთ მესამედს შეადგენს. ამავდროულად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ვიზაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ნიდერლანდებსა (20.7%) და ლიტვას (19.8%), ხოლო ყველაზე დაბალი - პოლონეთსა და გერმანიას, 4.5% და 5.6% შესაბამისად (იხ. ცხრილი 3). მთლიანობაში, საქართველოში განთავსებულმა *შენგენის* ქვეყნების საკონსულოებმა, 2014 წელს, 80,000-ზე მეტი ვიზა გასცეს და მათ უმრავლესობას ერთჯერადი ვიზები შეადგენდა. გერმანიის, იტალიისა და ნიდერლანდების საკონსულოებმა, *შენგენის* ქვეყნების სხვა საკონსულოებთან შედარებით, ყველაზე მეტი ვიზა გასცეს, ხოლო იტალიამ - ყველაზე მეტი მრავალჯერადი ვიზა გასცა.

ცხრილი 3: ვიზების სახეობები და საქართველოში განთავსებული შენგენის ქვეყნების საკონსულოების მიერ ვიზების გაცემის მაჩვენებლები, 2014 წ.

შენგენის ქვეყნის საკონსულო	სავიზო განაცხადი	გაცემული ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი) საერთო რაოდენობა	გაცემული მრავალჯერადი ვიზების რაოდენობა	გაცემული ერძელვადიანი ვიზების საერთო რაოდენობ	უარი ვიზის გაცემაზე	ვიზებზე უარის მაჩვენებელი	მრავალჯერადი ვიზებზე უარის წილი ვიზებზე უარების მთლიან რაოდენობაში
ჩეხეთის რესპუბლიკა	7,832	6,709	605	0	1,123	14,3%	9,0%
ესტონეთი	1,651	1,535	588	0	104	6,3%	38,3%
საფრანგეთი	7,661	6,710	1,836	9	942	12,3%	27,4%
გერმანია	16,739	15,795	3,143	1	943	5,6%	19,9%
საბერძნეთი	10,048	8,672	600		1,376	13,7%	6,9%
იტალია	14,906	12,886	9,338	2	2,018	13,5%	72,5%
ლატვია	4,127	3,871	962	1	255	6,2%	24,9%
ლიტვა	4,741	3,726	1,471		941	19,8%	39,5%
ნიდერლანდები	17,888	13,924	5,615	1	3,708	20,7%	40,3%
პოლონეთი	3,890	3,715	1,393	0	175	4,5%	37,5%
შვეიცარია	3,643	3,424	704	2	217	6,0%	20,6%
სულ	**93,126**	**80,967**	**26,255**	**16**	**11,802**	**12,7%**	**32,4%**

წყარო: *EC*

ბინადრობის ნებართვები

საზღვარგარეთ განათლების მიღებისა და ოჯახის გაერთიანების მიზნით წასული ემიგრანტები, ისევე როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე ემიგრანტები უფრო ხშირ შემთხვევებში არიან ლეგალურად, ვიდრე შრომითი ემიგრანტები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მუშაობს ოჯახებში დამხმარეებად და მომვლელებად. იმიგრანტთა დაბადებისა ან

[22] European Commission; Migration and Home Affairs; http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy/index_en.htm

მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით ევროსტატის მონაცემის თანახმად, 2014 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს 45,974 მოქალაქე ცხოვრობდა. ამავდროულად, ევროსტატი არ აქვეყნებს მონაცემებს რამდენიმე ქვეყნის შესახებ,[23] მათ შორის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შესახებ, სადაც ქართველების რაოდენობა შესაძლოა საკმაოდ დიდი იყოს. ამდენად, ვვარაუდობთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა უფრო მეტი რაოდენობაა, ვიდრე ამას მონაცემები გვიჩვენებს (ცხრილი 4).

კვლევები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში ემიგრირებული საქართველოს მოქალაქეები, როგორც წესი, უფრო მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან, ვიდრე ის ემიგრანტები, ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისკენ მიემართებიან.[24]

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ყველა ტიპის ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში, 2010 წელთან შედარებით 2013 წელს ოდნავ მეტი ნებართვა გაიცა საქართველოს მოქალაქეებზე. უფრო შესამჩნევია ოჯახის გაერთიანების საფუძვლით გაცემული ბინადრობის ნებართვების ზრდა - თითქმის 38%, რასაც მოსდევს დროებითი დაცვის მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობის ზრდა - 34%.

ცხრილი 4: საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოში გაცემული ბინადრობის ნებართვები საფუძვლების მიხედვით

წელი	საგანმანათ-ლებლო	ოჯახის გაერთიანება	ანაზღაურებადი საქმიანობა	ლტოლვილის სტატუსი	დროებითი დაცვა	სხვა	სულ
2010 წ.	3,687	17,114	17,511	1,741	462	12,576	53,091
2011 წ.	3,445	19,248	19,131	1,727	440	13,438	57,429
2012 წ.	3,967	21,013	17,847	1,856	420	14,950	60,053
2013 წ.	4,146	23,949	19,098	1,894	621	16,327	66,035
2014 წ.	3,844	15,723	15,892	2,022	629	11,163	49,273[25]

წყარო: *Eurostat, ყველა მოქმედი ნებართვა საფუძვლის მიხედვით*

<u>რუსეთი</u>

ყველა არსებული შეფასებებისა და სტატისტიკური მონაცემების თანახმად (იხ. ცხრილი 2 ზემოთ), საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით, რუსეთში ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტია. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მიგრაციის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის 10 ნოემბრისთვის, რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების[26] რიცხვი 43,762-ს შეადგენდა - მათ შორის, 26,371 მამაკაცი და 17,391 ქალი იყო.[27] ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა შრომისუნარიანი ასაკისაა - 18-დან 49 წლამდე. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ემიგრანტებთან შედარებით, რუსეთში საქართველოდან ჩასულ ემიგრანტთა

[23] კვიპროსისა და საბერძნეთის მონაცემები ეყრდნობა სტატისტიკის ეროვნული სამსახურების გამოთვლებს.

[24] http://www.migrationpolicycentre.eu/docs/migration_profiles/Georgia.pdf გვ.2.

[25] 2014 წლის მონაცემები არ არის სრული. 2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, Eurostat-ის გვერდზე არ იყო ატვირთული საბერძნეთის, უნგრეთის, ნიდერლანდებისა და ავსტრიის 2014 წლის მონაცემები.

[26] ეს და სხვა მონაცემები ამ ნაწილში შეიცავს ემიგრანტთა რიცხოვნობას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

[27] http://www.fms.gov.ru/about/statistics/data/details/54891/

რაოდენობა საკმაოდ დაბალია.[28] რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 1997-2014 წლებში რუსეთში ჩავიდა საქართველოს 201,046 მოქალაქე, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის მანძილზე რუსეთი დატოვა 29,137 მოქალაქემ.[29] ეს მონაცემები შეესაბამება რუსეთში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობის არსებულ შეფასებებს (იხ. ცხრილი 2) და მიუთითებს ნატურალიზაციის მაღალ მაჩვენებელზე.

2000 წლამდე, სანამ რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს შემოიღებდა, რუსეთში ქართველ მიგრანტთა ნაკადების რაოდენობა საკმაოდ სტაბილური იყო და წელიწადში 20,000-დან 25,000 ადამიანამდე მერყეობდა (იხ. დიაგრამა 1). თუმცა, 2001 წლიდან ემიგრანტთა რიცხვი ორჯერ შემცირდა და 2004 წელს ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია (4,886). ემიგრანტთა რაოდენობამ ისევ დაიწყო ზრდა 2007-2008 წლებში და 2014 წლისთვის დაახლოებით 10,000 ემიგრანტს შეადგენს წლიურად.

დიაგრამა 1: საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის დინამიკა (1997-2014 წწ.)[30]



წყარო: *Росстат*

<u>აშშ</u>

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მონაცემებით, 2003-2013[31] წლებში საქართველოს 15,560-მა მოქალაქემ მიიღო შეერთებულ შტატებში კანონიერი მუდმივი ბინადრობის ნებართვა.[32] [33] 2013 წელს 1,368 საქართველოს მოქალაქიდან, ვინც მიიღო აშშ-ს

[28] მაგალითად, 2015 წლის 6 აგვისტოს მონაცემებით, რუსეთში გაცილებით უფრო მეტი აზერბაიჯანისა (554,364) და სომხეთის (535,135) მოქალაქე ცხოვრობდა.

[29] http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/population/demography/#

[30] http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/population/demography/#

[31] აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის სტატისტიკის მიხედვით, 2000 წლამდე, საქართველოს მოქალაქეები გაერთიანებულნი იყვნენ ან რუსეთის იმპერიის (1820-1920), ან სსრკ (1920-1990), ან რუსეთის (1991-1999) მოქალაქეთა ჯგუფებში. იხ.: 2012 Yearbook of Immigration Statistics. Office of Immigration Statistics. Homeland Security. 2013, გვ. 11.

[32] http://www.dhs.gov/yearbook-immigration-statistics-2013-lawful-permanent-residents

კანონიერი ბინადრობის ნებართვა, 734-მა[34] ეს ნებართვა აშშ-ს მოქალაქის უშუალო ნათესავის (2012 წელს - 819 შემთხვევა 1,341-დან) და 354-მა - საიმიგრაციო ვიზის პროგრამაში[35] გამარჯვების საფუძველზე მიიღო (2012 წელს - 270 შემთხვევა 1,341-დან). ამავდროულად, 2001-2015 წლებში, საქართველოს 8,161-მა მოქალაქემ მოიგო აშშ-ს საიმიგრაციო ვიზის „მწვანე ბარათის" გათამაშებაში.[36] სავარაუდოდ, ყველა მათგანი არ დასახლდა აშშ-ში სამუდამოდ, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამარჯვებულთა უმრავლესობამ მიიღო კანონიერი ბინადრობის სტატუსი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მინიმუმ 15,000 საქართველოს მოქალაქე ამჟამად კანონიერად ცხოვრობს აშშ-ს ტერიტორიაზე. რთულია იმ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის განსაზღვრა, რომლებიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან აშშ-ში. ის ფაქტი, რომ აშშ-ს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეთა შედარებით დიდი რაოდენობა იმყოფება ნაწილობრივ დასტურდება იმითაც, რომ აქ 23[37] ქართული დიასპორული ორგანიზაცია არსებობს, რომელიც მათ საჭიროებებს ემსახურება.

საერთაშორისო დაცვა

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების თანახმად, 2014 წლის ბოლოს, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელი 7,791 მოქალაქე ითხოვდა თავშესაფარს სხვა ქვეყნებში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი მნიშვნელოვნად მერყეობს ყოველწლიურად. თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების ყველაზე მცირე რაოდენობა 2006 წელს დაფიქსირდა (5,382), ხოლო ყველაზე მაღალი - 2009 წელს (15,735), ანუ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი წლის შემდეგ. საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა მიერ შეტანილ განაცხადებზე უარის კოეფიციენტი განსხვავდება (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5: განხილვის პროცესში მყოფი განაცხადების (წლის დასაწყისი და წლის ბოლო), წლის განმავლობაში შემოსული განაცხადებისა და უარის რაოდენობა

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014[38]
წლის დასაწყისი	3,022	3,501	3,079	3,892	4,123	5,375	8,349	7,214	2,958	4,238	11,394
წლის განმავლობაში შეტანილი განაცხადების რაოდენობა	11,716	9,311	5,382	5,513	9,225	15,735	10,195	8,504	14,094	12,592	12,377
დადებითი პასუხების საერთო რაოდენობა	1,056	1,513	653	663	871	2,252	849	606	516	556	675
უარი	6,852	5,886	3,749	3,763	5,902	8,182	6,151	4,930	6,779	6,896	7,641
სხვა მიზეზებით დაუკმაყოფილებელი განცხადებები	3,721	4,087	2,040	1,454	1,305	4,969	2,701	3,620	5,296	4,811	5,132
გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა	11,607	11,486	6,442	5,880	8,078	15,403	9,701	9,155	12,591	12,263	13,448
აღიარების კოეფიციენტი[39]	13%	20%	15%	15%	13%	22%	12%	11%	7%	7%	8%

[33] 2012 Yearbook of Immigration Statistics. Office of Immigration Statistics. Homeland Security. 2013, გვ. 13.

[34] http://www.dhs.gov/yearbook-immigration-statistics-2013-lawful-permanent-residents

[35] „მწვანე ბარათის" გათამაშება.

[36] http://www.green-card.com/green-card-lottery/winners-and-statistics/distribution-of-winners-2011-dv-2011/

[37] დიასპორული ორგანიზაციების შესახებ მონაცემები მოწოდებულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ამ პროფილის დიასპორის ჩართულობის ნაწილი.

[38] 2014 წლის მონაცემები არასრულია.

უარის კოეფიციენტი[40]	87%	80%	85%	85%	87%	78%	88%	89%	93%	93%	92%
წლის ბოლო	2,791	3,011	4,386	4,066	5,086	4,759	7,195	2,953	4,583	11,571	7,791

წყარო: *UNHCR, 2014.*

2014 წელს, საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებში იქნა შეტანილი თავშესაფრის მაძიებელთა ყველაზე მეტი განაცხადი: გერმანია (3,180), საფრანგეთი (2,849), საბერძნეთი (1,264), შვედეთი (1,123) და პოლონეთი (709). ხოლო, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი იყო საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთათვის ყველაზე პოპულარული დანიშნულების ქვეყნა. ამასთან, ბოლო პერიოდში შვედეთიც გვევლინება ასეთად.

ცხრილი 6: ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები. ყველაზე პოპულარული დანიშნულების ქვეყნები (წლის განმავლობაში შეტანილი განაცხადები)

წლის განმავლობაში განმცხადე-ბელთა რაოდენობა (ყველა ქვეყანა)	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
საფრანგეთი	3,686	2,467	1,097	555	463	542	1,790	1,737	3,995	4,069	2,849
საბერძნეთი	323	1,897	428	1,559	2,241	2,170	1,360	1,121	893	990	1,264
პოლონეთი	56	78	64	51	59	4,213	1,082	1,735	3,577	1,210	709
გერმანია	974	614	313	231	298	638	751	527	1,430	2,486	3,180
რუსეთის ფედერაცია	24	27	138	586	2,684	3,580	1,353	626	450	330	216
შვეიცარია	731	397	287	199	481	638	642	281	715	745	466
შვედეთი	403	183	134	143	291	520	456	412	748	830	1,123
ავსტრია	1,731	0	0	400	511	975	370	261	300	257	417
ბელგია	326	294	267	160	222	327	396	418	497	378	543
კვიპროსი	785	990	681	546	275	241	110	37	19	6	6
ნიდერ-ლანდები	73	213	156	66	64	412	611	233	252	238	333
სლოვაკეთი	989	258	209	134	119	98	63	62	61	34	14
სულ (ყველა ქვეყანა)	**11,716**	**9,311**	**5,382**	**5,513**	**9,225**	**15,735**	**10,195**	**8,504**	**14,094**	**12,592**	**12,145**

წყარო: *UNHCR, 2014*

Eurostat-ის მონაცემების თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ასევე შეინიშნება თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა განაცხადების შემცირების ტენდენცია - 10,830 განაცხადი 2012 წელს, 9,115 – 2013 წელს და 8,555 – 2014 წელს. ამავდროულად, 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველო აღარ შედის იმ 15 ქვეყნის სიაში, საიდანაც ყველაზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი ჩადის ევროკავშირის 28 ქვეყანაში.[41]

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზის თანახმად, ბოლო 11 წლის განმავლობაში, საქართველოდან ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა (საერთაშორისო დაცვის სხვა

[39] აღიარების კოეფიციენტი = დადებითი პასუხები გაყოფილი დადებითი პასუხებისა და უარყოფითი პასუხების ჯამზე, გარდა სხვა მიზეზებით დაუკმაყოფილებელი განცხადებებისა.

[40] უარის კოეფიციენტი = უარყოფილი განცხადებები გაყოფილი დადებითი პასუხებისა და უარყოფითი პასუხების ჯამზე, გარდა სხვა მიზეზებით დაუკმაყოფილებელი განცხადებებისა.

[41] http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/551332/EPRS_BRI(2015)551332_EN.pdf

ფორმების მინიჭების ჩათვლით)[42] მერყეობს 6,626-სა (2004 წ.) და 15,020-ს (2009 წ.) შორის. ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა მაჩვენებელი 2010 წელს შემცირდა 30%-ით და მომდევნო წლებშიც გრძელდება ეს ტენდენცია, ძირითადად, რუსეთში, გერმანიასა და აშშ-ში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა შემცირებიდან გამომდინარე.

2014 წელს ქართველ ლტოლვილთა ყველაზე დიდი რაოდენობა იმყოფებოდა საფრანგეთში, ავსტრიაში, რუსეთის ფედერაციაში, აშშ-ში, კანადაში, გერმანიასა და საბერძნეთში. ლტოლვილთა მონაცემებში რამდენიმე საკმაოდ აშკარა ცვლილებაა, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს, რათა სათანადოდ ავხსნათ ეს ცვლილებები. მაგალითად, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის ზრდა რუსეთში 2009-2011 წლებში, ან ლტოლვილთა რაოდენობის შემცირება გერმანიაში (2012 წლიდან), ან აშშ-ში (2009 წლიდან).

ცხრილი 7: საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ლტოლვილები, ყველაზე მიმზიდველი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

ბინადრობის ქვეყანა	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საფრანგეთი	998	1,516	1,668	1,786	1,889	2,105	2,153	2,249	2,391	2,571	2,714
ავსტრია	153	226	291	377	532	654	730	774	819	788	788
რუსეთის ფედერაცია	238	119	120	205	670	2,329	2,478	1,900	1,404	762	537
აშშ	791	817	1,289	1,093	1,111	1,091	928	802	693	608	496
კანადა	245	290	297	471	486	501	495	506	504	485	474
გერმანია	2,639	2,664	1,173	1,385	1,509	1,943	2,034	2,105	2,202	333	343
საბერძნეთი	-	-	-	-	-	-	-	13	31	84	264
შვედეთი	77	96	106	139	148	165	173	177	170	158	161
იტალია	41	41	41	55	65	89	84	89	90	109	130
ნიდერ-ლანდები	713	693	467	366	282	216	173	146	117	111	89
სხვა ქვეყნები	731	839	888	5,933	5,906	5,927	1,392	1,351	840	769	702
სულ	**6,626**	**7,301**	**6,340**	**11,810**	**12,598**	**15,020**	**10,640**	**10,112**	**9,261**	**6,778**	**6,698**

წყარო: *UNHCR, 2014*

ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებელთა და თავშესაფრის მოთხოვნაზე განმცხადებელთა სტაბილური რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება: საქართველოდან თავშესაფრის განცხადებების რაოდენობის მოულოდნელი ზრდის შემთხვევები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ქვეყნის შიგნით სოციალ-პოლიტიკურ არასტაბილურობასთან. 2008 წელს ეს გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს ომით, როდესაც საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა საერთო რაოდენობამ ყველა დროის პიკს მიაღწია 2009 წელს, კონფლიქტიდან ერთ წელიწადში. 2008 და 2009 წლებში, რუსეთში, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა,

[42] პირები, ვინც გაერო-ს 1951 წლის კონვენციით/1967 წლის ოქმით, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენციით, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდების თანახმად, აღიარებულნი არიან ლტოლვილებად; პირები, ვისაც მიენიჭათ დამატებითი დაცვა (complementary form of protection) და პირები, ვინც სარგებლობენ დროებითი დაცვით (temporary protection). ასევე მოიცავს პირებს, რომლებიც იმყოფებიან საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმებით, ვისაც არ დაუდგინდა ლტოლვილის სტატუსი, პრაქტიკული ან სხვა მიზეზების გამო. სახელმწიფო ოფიციალური მონაცემების არარსებობის ფონზე, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა ლტოლვილი მოსახლეობის რაოდენობა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში გამოთვალა 10 წლის მანძილზე ინდივიდუალური თავშესაფრის მაძიებელთა აღიარების მონაცემებზე დაყრდნობით.
http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/page?page=49e48d2e6#

სავარაუდოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადინების შედეგად.

ქართველ ემიგრანტთა უკანონო მიგრაცია

ევროკავშირი

<u>საზღვრის უკანონო გადაკვეთა და შესვლაზე უარი</u>

ფრონტექსის 2015 წლის „აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების რისკების ყოველწლიური ანალიზის“ თანახმად, „საქართველოს მოქალაქეთა მიერ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის საზღვრის უკანონო გადაკვეთის შემთხვევების გამოვლენის ფაქტები აშკარად შემცირებულია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების/*შენგენის* ასოცირებული ქვეყნების მონაცემების მიხედვით, 2014 წელს, მათ 171 ასეთი შემთხვევა გამოავლინეს, მაშინ როდესაც 2013 წელს მსგავსი 235 შემთხვევა იქნა გამოვლენილი. ყველა საერთო და რეგიონული საზღვრების საერთო მონაცემების ანალიზისას შემცირება კიდევ უფრო შესამჩნევია, კერძოდ, 686 შემთხვევიდან 376 შემთხვევამდე“.[43]

ცხრილი 8: სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის საზღვრის უკანონო გადაკვეთა.[44] ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რისკების ანალიზის სისტემაში (EB-RAN) შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოვლენილი შემთხვევები[45] იმ 10 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქენიც ყველაზე ხშირად იყვნენ დაკავებული საზღვრის უკანონო გადაკვეთისას.

	2012	2013	2014	საერთო ჯამის წილი	% ცვლილება წინა წელთან შედარებით
საზღვრის არალეგალურად კვეთის მიზანი					
არალეგალური მიგრაცია	366	1 565	**1 868**	50	19
სხვა	30	1 898	**1 332**	36	-30
საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა	24	584	**396**	11	-32
არ არის განსაზღვრული	4 879	661	**125**	3.4	-81
მოქალაქეობა					
უკრაინა	1 475	1 318	**990**	27	-25
მოლდოვა	937	691	**446**	12	-35
საქართველო	645	686	**376**	10	-45
ავღანეთი	328	263	**356**	9.6	35
ვიეტნამი	193	209	**345**	9.3	65
რუსეთის ფედერაცია	510	498	**334**	9.0	-33
სირია	37	114	**188**	5.1	65
არ არის განსაზღვრული	86	193	**102**	2.7	-47
ბელარუსი	198	163	**100**	2.7	-39
ერაყი	7	3	**38**	1	1 167
სხვა	883	570	**446**	12	-22
ჯამი	**5 299**	**4 708**	**3 721**	**100**	**-21**

წყარო: *FRONTEX 2015, "Eastern European Borders Annual Risk Analysis", გვ. 40*

ფრონტექსის მონაცემების თანახმად, 2014 წელს, საქართველოს მოქალაქეების შესვლაზე უარის მაჩვენებელი თითქმის 40%-მდე შემცირდა. 2014 წლის მეოთხე კვარტალში,

[43] http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/EB_ARA_2015.pdf, გვ. 34.

[44] ტერმინი „სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის“ აღნიშნავს „მწვანე საზღვარს“, სასაზღვრო-გამტარი პუნქტების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ გარე სახმელეთო საზღვრებს. http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/e-library/docs/pdf/customs_bgs_final_en.pdf p.15.

[45] მხოლოდ შესვლისას ქვეყნის საერთო საზღვარზე გამოვლენილი შემთხვევები. იხ.: FRONTEX 2015, „Eastern European Borders Annual Risk Analysis“ , გვ. 44.

ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარის მიღების მთავარი მიზეზები იყო მოქმედი ვიზის, ან ბინადრობის ნებართვის არქონა (1,986 შემთხვევა, კატეგორია C) და დარჩენის მიზეზისა და პირობების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების არქონა (88 შემთხვევა, კატეგორია E).[46]

ცხრილი 9: შესვლაზე უარი (ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რისკების ანალიზის სისტემაში შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მონაცემებზე დაყრდნობით, საზღვრის ტიპებისა და იმ 10 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებსაც ყველაზე ხშირად ეთქვათ უარი)[47].

	2012	2013	2014	საერთო ჯამის წილი	% ცვლილება წინა წელთან შედარებით
საზღვრის ტიპი					
სახმელეთო	62 463	77 100	**77 278**	89	0.2
საჰაერო	2 690	4 485	**5 952**	6.8	33
საზღვაო	3 184	3 344	**3 877**	4.5	16
მოქალაქეობა					
რუსეთის ფედერაცია	9 226	22 977	**24 408**	28	6.2
უკრაინა	19 182	19 685	**21 770**	25	11
მოლდოვა	3 608	3 659	**6 763**	7.8	85
საქართველო	9 640	9 643	**5 784**	6.6	-40
ბელარუსი	4 972	4 450	**5 255**	6	18
ლიტვა	5 259	5 372	**4 110**	4.7	-23
უზბეკეთი	1 169	2 375	**3 056**	3.5	29
სომხეთი	1 217	1 901	**1 776**	2	-6.6
ტაჯიკეთი	1 889	1 588	**1 773**	2	12
აზერბაიჯანი	482	770	**1 356**	1.6	76
სხვა	11 693	12 509	**11 056**	13	-12
ჯამი	**68 337**	**84 929**	**87 107**	**100**	**2.6**

წყარო: *FRONTEX 2015, „Eastern European Borders Annual Risk Analysis" გვ. 42*

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა შესვლაზე უარს ქვეყნების სახმელეთო საზღვარზე იღებს. ფრონტექსის თანახმად, 2014 წელს სახმელეთო საზღვრის გადაკვეთაზე უარის 3,716 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც საქართველოს მოქალაქეების მიერ მიღებული ყველა უარის 73% შეადგენს.[48]

ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გააძლიერა ძალისხმევა რეგულარული საინფორმაციო კამპანიების ჩატარების თვალსაზრისით. მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანიები ევროკავშირში კანონიერი მიგრაციის, თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხებისა და უკანონო მიგრაციის შედეგების შესახებ. საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია, რომელიც 2013 წლის დასაწყისში იქნა მიღებული („ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი" – 2013-2015 წლები), ძირითადად კონცენტრირებულია ლეგალური მიგრაციის დადებით ასპექტებზე და ყურადღებას ამახვილებს არალეგალური მიგრაციის უარყოფით შედეგებზე. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებები ეფუძნება ბალკანეთის ქვეყნებსა და მოლდოვაში ვიზა-ლიბერალიზაციის შემდგომ გამოცდილებას. ამ კამპანიის ფარგლებში, მაგალითად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, აწარმოებს

[46] http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/FRAN_Q4_2014.pdf, გვ. 16.

[47] http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/EB_ARA_2015.pdf, გვ. 42.

[48] http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/FRAN_Q4_2014.pdf, გვ. 15.

საქართველოს მოსახლეობის საინფორმაციო კამპანიას უკანონო მიგრაციის საფრთხეების შესახებ. 2014 წლის 10 თებერვლიდან 2015 წლის 20 სექტემბრამდე ჩატარდა 85 საინფორმაციო შეხვედრა, რომლებსაც 3,374 ადამიანი დაესწრო. საზოგადოებრივი ცენტრები და იუსტიციის სახლები ჩართულნი არიან საინფორმაციო კამპანიაში და წარმოადგენენ ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებრივი შეხვედრების საკოორდინაციო ცენტრებს.

<u>არალეგალურად მყოფი ემიგრანტების დაკავება</u>

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არალეგალურად მყოფი მოქალაქეების გამოვლენის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა გამოვლენის ფაქტები 2010 წლიდან, ყოველწლიურად მერყეობს 4,285-სა და 5,335-ს შორის. თუმცა, ფრონტექსის მონაცემები,[49] რომლებიც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის საერთო რაოდენობას ასახავს, გვიჩვენებს, რომ 2014 წელს არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეთა გამოვლენის ფაქტები 50%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით (4,938-დან 2,465-მდე).

ცხრილი 10: არალეგალური ყოფნა. ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რისკების ანალიზის სისტემაში შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოვლენილი შემთხვევები, გამოვლენის ადგილისა და იმ 10 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად იქნენ გამოვლენილნი.[50]

	2012	2013	2014	საერთო ჯამის ნილი	% ცვლილება წინა წელთან შედარებით
გამოვლენის ადგილი					
სახმელეთო	24 176	23 952	**23 673**	75	-1.2
საჰაერო	14 013	16 083	**6 433**	20	-60
ქვეყნის შიგნით	678	863	**1 029**	3.3	19
საზღვაო	568	303	**288**	0.9	-5
სასაზღვრო გამტარ პუნქტებს შორის	699	137	**141**	0.4	2.9
მოქალაქეობა					
უკრაინა	6 883	8 159	**9 824**	31	20
რუსეთის ფედერაცია	7 051	6 887	**6 140**	19	-11
საქართველო	4 187	4 938	**2 465**	7.8	-50
მოლდოვა	2 139	1 707	**2 137**	6.8	25
ბელარუსი	1 534	1 487	**1 394**	4.4	-6.3
უზბეკეთი	2 889	2 879	**957**	3	-67
აზერბაიჯანი	2 345	2 261	**798**	2.5	-65
თურქეთი	1 359	1 455	**696**	2.2	-52
სომხეთი	1 677	1 737	**639**	2	-63
ჩინეთი	700	913	**613**	1.9	-33
სხვა	9 370	8 916	**5 901**	19	-34
ჯამი	**40 134**	**41 339**	**31 564**	**100**	**-24**

წყარო: *FRONTEX 2015, "Eastern European Borders Annual Risk Analysis ", გვ. 41*

ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმება, რომელიც 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში, მიზნად ისახავს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. შეთანხმების ფარგლებში, საქართველო კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ევროკავშირის ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრები ყველა

[49] EB-RAN - ევროპის აღმოსავლეთ საზღვრების რისკების ანალიზის ქსელი (Eastern Borders Risk Analysis Network), სადაც შედიან ბელარუსი, უკრაინა და მოლდოვა და რუსეთის ფედერაცია.

[50] ასახულია საერთო სახმელეთო საზღვარზე მხოლოდ გასვლისას გამოვლენილი ქვეყანაში უკანონოდ ყოფნის შემთხვევები. იხ.: FRONTEX 2015, „Eastern European Borders Annual Risk Analysis“, გვ. 44.

მოქალაქე, თუ მათი საქართველოს მოქალაქეობა დადასტურებული იქნება. შეთანხმება, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ეფექტიანად სრულდება საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ, რასაც სტატისტიკაც ადასტურებს: 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რეადმისიის თაობაზე განაცხადების 90%-ზე მეტი დადებითად გადაწყდა.

A3. იმიგრაცია

იმიგრაციის მიმოხილვა

წლების მანძილზე საქართველოში შედარებით ლიბერალური სავიზო რეჟიმი მოქმედებდა,[51] როდესაც 100-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო შემოსულიყო, ეცხოვრა, ემუშავა და ესწავლა ქვეყანაში ვიზის ან ბინადრობის ნებართვის აღების აუცილებლობის გარეშე. შესაბამისად, იმიგრანტებს ამ ქვეყნებიდან არ სჭირდებოდათ ბინადრობის ნებართვის აღება, რომ ეცხოვრათ, ემუშავათ ან ესწავლათ საქართველოში - ამრიგად, ქვემოთ განხილული ბინადრობის ნებართვების სტატისტიკა ძირითადად იმ ქვეყნების მოქალაქეთა შესახებ იძლევა ინფორმაციას, რომლებიც არ სარგებლობდნენ ამგვარი შეღავათებით ლიბერალური საიმიგრაციო რეგულაციების ფარგლებში.

მიგრაციული ნაკადების დარეგულირების მიზნით, 2014 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი[52]. 2015 წლის ზაფხულში კანონში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება ვიზისა და ბინადრობის მოთხოვნების დახვეწის მიზნით. ცვლილებებს საფუძვლად დაედო ახალი კანონის განხორციელების მონიტორინგის შედეგები, ისევე როგორც სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

საქართველოში შემოსულ იმიგრანტთა ნაკადები საკმაოდ მრავალფეროვანია - იმიგრანტები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან და ძირითადად წარმოადგენენ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას. დროებითი ბინადრობის ნებართვების გაცემის მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმიგრანტები ჩართულნი არიან სხვადასხვა საქმიანობაში, იქნება ეს განათლების მიღება, ბიზნესის წარმოება, თუ მუშაობა.[53]

იმიგრანტთა მიმოხილვა

საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობის მონაცემები გროვდება სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით და ძირითადად ეფუძნება შეფასებით გამოთვლებს. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, სავარაუდოდ, უფრო სანდო მონაცემებს მოგვაწვდის იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ. პროექტ ENIGMMA-ს ანგარიშში „მიგრაციის მდგომარეობა საქართველოში“ მოცემულია გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტისა (UN DESA) და მსოფლიო ბანკის შეფასებები. UN DESA რაოდენობას ანგარიშობს „საზღვარგარეთ დაბადებულთა“ კატეგორიაზე დაყრდნობით, რაც შეადგენს დაახლოებით 190,000 ადამიანს (UN DESA 2013 წ.). ამ კატეგორიაში შესაძლებელია შედიოდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წარმოშობით საქართველოდანაა, მაგრამ დაბადებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ან საბჭოთა კავშირის პერიოდში, ან მისი დაშლის შემდეგ, რომლებიც საბოლოოდ დასახლდნენ საქართველოში და შესაძლოა საქართველოს მოქალაქეობაც კი,

[51] კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (2005 წ.).

[52] კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (2014 წ.).

[53] დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ წინამდებარე პროფილის იმიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენის ნაწილი.

ჰქონდეთ. მსოფლიო ბანკის 2011 წლის შეფასებების მიხედვით, 2010 წელს საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობა 167,000 აღწევდა.

იმიგრანტთა რიცხოვნობის ანალიზისას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებს ვიყენებთ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აგროვებს ბინადრობის ნებართვების (როგორც დროებითი, ასევე მუდმივი) გაცემისა და მოქალაქეობის მინიჭების მონაცემებს.

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემის მონაცემები.

ცხრილი 11: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვები (2010-2014 წწ.)

წელი	შრომითი	სასწავლო	ოჯახის გაერთიანების მიზნით	საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა[54]	საქართველოს ყოფილი მოქალაქე	ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში	სპეციალური ბინადრობის ნებართვა[55]	სულ
2010	2,903	1,059	940	-	1,850	2	-	6,754
2011	4,539	657	1029	-	1,168	2	-	7,395
2012	5,091	876	961	-	840	4	-	7,772
2013	3,921	554	931	-	620	4	-	6,030
2014	4,666	1,130	1,136	54	2,282	676	181	10,125
სულ	**21,120**	**4,276**	**4,997**	**54**	**6,760**	**688**	**181**	**38,076**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

ამდენად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ბოლო 5 წლის განმავლობაში, გაიცა 38,000-ზე მეტი ბინადრობის ნებართვა. ამავდროულად, ეს რიცხვი ზუსტად არ ასახავს ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა რაოდენობას, ვინაიდან, ერთი და იმავე პირს, შესაძლებელია, ყოველ წელიწადს მიემართა და მიეღო დროებითი ბინადრობის ნებართვა.

გარკვეული განსხვავებები შეინიშნება იმ მაჩვენებლებში, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები მიმართავენ განცხადებებით კონკრეტული ბინადრობის ნებართვის მისაღებად. მაგალითად, ოჯახის გაერთიანების კატეგორიაში გაცემული ბინადრობის ნებართვების 1/3-ზე ოდნავ მეტი მიღებული აქვთ რუსეთის მოქალაქეებს (4,997-დან 1,654); ამას გარდა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა მიიღეს გაცემული ბინადრობის ნებართვების 70% (6,760-დან 4,791) საქართველოს ყოფილი მოქალაქეების კატეგორიაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების შემთხვევაში, 21,120-დან 6,467 (30%) ნებართვა გაიცა ჩინეთის მოქალაქეებზე, მაშინ, როდესაც სასწავლო ბინადრობის ნებართვების თითქმის 60% (4,276-დან 2,488 შემთხვევა) მიიღეს ინდოელმა სტუდენტებმა.

2010-2014 წლებში, 8,189 პირის განაცხადი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე (სულ შემოსული განცხადებების დაახლოებით 17%) არ დაკმაყოფილდა (იხ. ცხრილი 12). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია

[54] საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა შემოღებული იქნა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონით და მისი გაცემა დაიწყო 2014 წლის სექტემბრიდან.

[55] სპეციალური ბინადრობის ნებართვა შემოღებული იქნა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონით და მისი გაცემა დაიწყო 2014 წლის სექტემბრიდან.

ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა.

ცხრილი 12: ბინადრობის ნებართვაზე უარების საერთო რაოდენობა (2010-2014 წწ.)

წელი	**გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა**	**ბინადრობის ნებართვაზე უარყოფითი პასუხების რაოდენობა**	**შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა**
2010	6,754	588	7,342
2011	7,395	748	8,143
2012	7,772	1,773	9,545
2013	6,030	2,745	8,775
2014	10,125	2,335	12,460
სულ	**38,076**	**8,189**	**46,265**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

2010-2014 წლებში, უცხო ქვეყნის 35,769 მოქალაქეს მიენიჭა ნატურალიზაციის გზით, საქართველოს მოქალაქეობა[56] (იხ. ცხრილი 13). უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა, საქართველოს ყოფილი მოქალაქეა, რომლებიც გავიდნენ საქართველოს მოქალაქეობიდან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო. მოქალაქეობის მინიჭების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2013 წელს, ხოლო 2014 წელს კი, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ნატურალიზაცია თითქმის 50%-თ შემცირდა. ორმაგ მოქალაქეობაზე განაცხადების საერთო რაოდენობამ 44,818 შეადგინა; მათგან 9,049 შემთხვევა არ დაკმაყოფილდა.

ცხრილი 13: მოქალაქეობის მინიჭება ნატურალიზაციის შედეგად (2010-2014 წწ.)

წელი	**ნატურალიზაციის დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობა**	**ნატურალიზაციის უარყოფითი განაცხადების რაოდენობა**	**განაცხადების საერთო რაოდენობა**
2010	5,904	1,301	7,205
2011	8,559	1,597	10,156
2012	7,113	1,373	8,486
2013	9,626	2,412	12,038
2014	4,567	2,366	6,933
სულ	**35,769**	**9,049**	**44,818**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

მინიჭებული 35,769 მოქალაქეობიდან, დიდი ნაწილი - 25,992 - მიიღეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა. თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი, აშშ და სომხეთი ასევე შედის იმ ქვეყანათა პირველ ხუთეულში, რომელთა მოქალაქეებსაც ნატურალიზაციის პროცედურის გავლის შედეგად მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა 2010-2014 წლებში (იხ. ცხრილი 14).

[56] ამ შემთხვევაში, ნატურალიზაცია გულისხმობს ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევას.

ცხრილი 14: ძირითადი წარმოშობის ქვეყნები, რომლის მოქალაქეებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის პროცედურის გავლით

ქვეყანა	დაკმაყოფილებული განაცხადები	სულ დაკმაყოფილებული განაცხადების %
რუსეთი	25,992	73%
თურქეთი	3,033	8%
ისრაელი	1,151	3%
საბერძნეთი	1,143	3%
აშშ	1,097	3%
სომხეთი	670	2%
სხვა:	4,855	8%
სულ:	**35,769**	**100%**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

ნატურალიზაციის პროცედურის გავლით მოქალაქეობის მინიჭების გარდა, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების რეგულაციები უზრუნველყოფს შესაძლებლობას გახდეთ საქართველოს მოქალაქე მოქალაქეობის მინიჭების სტანდარტული პროცედურების გავლით. 2010-2014 წლებში, ამ კატეგორიაში 1,604 განმცხადებლიდან 1,502 პირს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. მათი უმრავლესობა (1,117) მოქალაქეობის არმქონე პირი და აზერბაიჯანის მოქალაქეა (383). ამ კატეგორიაში, უარის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად დაბალია და შეადგენს 102 შემთხვევას (მიღებული განაცხადების 6%).

<u>განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები</u>

იმიგრანტებს შორის შედარებით ახალ ჯგუფს წარმოადგენენ განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები, რომლებიც საქართველოში ძირითადად უმაღლეს განათლებას იღებენ. ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს უნივერსიტეტებში ყოველწლიურად ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება (იხ. ცხრილი 15). მთლიანობაში, უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოში უფრო მეტი მამრობითი სქესის უცხოელი სტუდენტი ჩამოდის, თუმცა მდედრობითი სქესის სტუდენტების რაოდენობაშიც შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა 18-25 წლისაა.

ცხრილი 15: საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ იმიგრანტთა რაოდენობა, სქესისა და ჩარიცხვის წლის მიხედვით

წელი	მამაკაცი	ქალი	სულ
2004	181	113	294
2005	108	68	176
2006	120	65	185
2007	189	131	320
2008	180	141	321
2009	202	173	375
2010	290	211	501
2011	653	333	986
2012	1,279	624	1,903
2013	1,480	597	2,077
2014	1,979	614	2,593
სულ:			**9,905**

წყარო: *განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

ჩარიცხულთა რაოდენობის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 2010/2011 და 2011/2012 სასწავლო წლებში, როდესაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული სავიზო რეჟიმის ცვლილებების მიუხედავად, 2014 წელს ჩარიცხულთა რიცხვი მაინც გაიზარდა თითქმის 25%-ით 2013 წელთან შედარებით.

საქართველოს უნივერსიტეტები როგორც ჩანს თანდათან იწყებენ საერთაშორისო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებას და შედეგად, სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს უცხოენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს (იხ. ცხრილი 16). ამრიგად, 2014 წლისათვის, 25 ქართულ უნივერსიტეტში 160 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა.

ცხრილი 16: უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტატისტიკა (2011-2014 წწ.)

წელი	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთო რაოდენობა	ბაკალავრიატის უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	სამაგისტრო უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	სადოქტორო უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	უნივერსიტეტების რაოდენობა, სადაც ისწავლება უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები
2011	22	17	5	-	5
2012	88	59	24	5	12
2013	123	82	30	11	18
2014	160	105	42	13	25

წყარო: *განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

2004-2014 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, თურქეთიდან, ნიგერიიდან, რუსეთის ფედერაციიდან და ერაყიდან ჩამოვიდა (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2: იმიგრანტ სტუდენტთა წარმოშობის ძირითადი ქვეყნები (2004-2014 წწ., შეჯამებული მონაცემები)



წყარო: *განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

აზერბაიჯანიდან განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები, სავარაუდოდ ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ერთი თანამემამულის სტატუსის[57] მქონე ეთნიკური ქართველებისგან შედგება, რის შედეგადაც მათ სრული წვდომა აქვთ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, ხოლო მეორე - ეთნიკური აზერბაიჯანელი სტუდენტებისგან, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ აზერბაიჯანის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გეოგრაფიული სიახლოვის, დაახლოებით ისეთივე სწავლის საფასურისა და რუსულად ან ინგლისურად სწავლის შესაძლებლობის გამო. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული სტუდენტების ერთი ნაწილი, სავარაუდოდ, აგრეთვე შედგება ეთნიკური ქართველებისგან, ხოლო მეორე - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების (რუსეთის ფედერაცია) მაცხოვრებლებისგან, რომლებიც სპეციალურად მოიზიდა რამდენიმე ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა განათლების მიღების მიზნით. იმიგრანტებმა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინდოეთი, ერაყი, თურქეთი ან ნიგერია, „შესაძლებელია, გადაწყვიტეს საქართველოში მიეღოთ განათლება ინგლისურ ენაზე სწავლის შესაძლებლობის, სწავლის დაბალი საფასურისა და მათ მშობლიურ ქვეყნებში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის აღიარების გამო“.[58] უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა სწავლობს მედიცინას, საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესთან დაკავშირებულ დისციპლინებს.

ასევე, ყოველწლიურად იზრდება უცხოელ მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში: 2011/2012 სასწავლო წლებში მათი რაოდენობა 1,147-ს შეადგენდა, ხოლო 2014/2015 სასწავლო წელს 3,404-მდე გაიზარდა. საშუალო სკოლებში უცხოელ მოსწავლეთა უმრავლესობა რუსეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთისა და აშშ-ს მოქალაქეებისგან შედგება (განათლების სამინისტრო).

<u>შრომითი იმიგრანტები</u>

შრომის ბაზრის მობილობა საქართველოში რეგულირდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“კანონით[59] და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.[60] კანონის თანახმად, საქართველოში ლეგალურად მცხოვრები უცხოელები და საქართველოს მოქალაქეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ შრომით ბაზარზე. ასევე, ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალის დასაქმებისას.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმრავლესობას შეადგენენ ჩინეთის, თურქეთისა და ირანის მოქალაქეები. ბოლო 5 წლის განმავლობაში გაცემული 21,120 შრომითი ბინადრობის ნებართვიდან 6,467 (30%) გაიცა ჩინეთის, 4,618 (22%) - თურქეთის, 2,222 ირანისა და 2,156 ინდოეთის მოქალაქეებზე (შესაბამისად, 10%-10%).

---

[57] თანამემამულის სტატუსის შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია პროფილის დიასპორის ჩართულობის ნაწილში.

[58] ICMPD, 2015.

[59] კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ (2015 წ.).

[60] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილება „შრომითი იმიგრანტის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

ცხრილი 17: შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა რაოდენობა იმ 5 წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, ვის მოქალაქეზეც გაიცა ყველაზე მეტი ნებართვა (პირველი ნებართვები და გაგრძელებები)

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	სულ
ჩინეთი	765	1,529	1,803	1,416	954	6,467
თურქეთი	736	977	806	736	1,363	4,618
ირანი	91	786	822	312	211	2,222
ინდოეთი	585	483	396	328	364	2,156
ეგვიპტე	16	23	359	348	96	842

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2010-2014 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან ბინის/სახლის საკუთრებაში რეგისტრაციის 23,398 შემთხვევა დარეგისტრირდა. 2011-დან 2013 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციის სტაბილური ზრდა შეინიშნებოდა. თუმცა, 2014 წელს, როდესაც შემოღებული იქნა უცხოელებისთვის მიწის საკუთრებაზე მორატორიუმი, მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემთხვევები შემცირდა, თუმცა ამავდროულად მცირედით გაიზარდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაცია, 1,273-დან (2013 წ.) 1,651-მდე (2014 წ.). უცხოელთათვის ინვესტიციის ძირითად სფეროს უძრავი ქონება წარმოადგენს (იხ. ცხრილი 18).

ცხრილი 18: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ქონების ტიპისა და რეგისტრაციის წლის მიხედვით

	უძრავი ქონების ტიპი				სულ
წელი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სხვა	
2010	564	673	1,274		2,511
2011	938	738	1,335		3,008
2012	1,776	987	1,871	1	4,634
2013	2,146	1,273	2,808		6,227
2014	1,424	1,651	3,943		7,018
სულ	**6,848**	**5,322**	**11,231**	**1**	**23,398**

წყარო: *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები ახდენენ (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა). შესაძლოა მათ შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები. იგივე შეიძლება ითქვას საბერძნეთისა და ისრაელის მოქალაქეთა ნაწილის შესახებ.

ცხრილი 19: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ქონების ტიპისა და იმ ქვეყნების მიხედვით, რომელთა მოქალაქეებმაც ყველაზე მეტი რეგისტრაცია განახორციელეს (2010-2014 წწ.)

	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სულ
რუსეთის ფედერაცია	4,004	2,365	6,373	12,742
აზერბაიჯანი	719	95	310	1,124
უკრაინა	268	204	555	1,027
სომხეთი	426	250	299	975
საბერძნეთი	438	130	344	921
ისრაელი	54	331	497	882
აშშ	87	174	519	780
გერმანია	80	119	354	553
ირანი	121	174	174	469
ერაყი	36	326	83	445
თურქეთი	44	135	194	373

წყარო: *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

2010-2014 წლებში, სულ 26,706-მა უცხოელმა დაიწყო საქართველოში სამეწარმეო ან არასამეწარმეო საქმიანობა. რეგისტრაციების აბსოლუტური უმრავლესობა (იხ. ცხრილი 20), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა (შპს) და ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის. შპს-ების ყველაზე დიდი რაოდენობა დარეგისტრირდა 2012 და 2013 წლებში, ხოლო 2014 წელს რეგისტრირებული შპს-ების რაოდენობა თითქმის 50% შემცირდა.

ცხრილი 20: უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა მათ მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების, სუბიექტის ფორმისა და დაფუძნების წლის მიხედვით

	სამეწარმეო სუბიექტები				არასამეწარმეო სუბიექტები		სულ
	ინდივიდუალური მეწარმე	შპს	უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	სააქციო საზოგადოება	არასამეწარმეო იურიდიული პირი	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	
2010	276	1,993	61	0	25	11	2,366
2011	338	3,602	99	2	0	9	4,050
2012	355	7,076	95	0	0	6	7,532
2013	429	7,713	101	0	0	9	8,252
2014	563	3,766	164	0	0	13	4,506
სულ	**1,961**	**24,150**	**520**	**2**	**25**	**48**	**26,706**

წყარო: *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

რეგიონული განაწილების მხრივ, უცხოელების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საწარმო დაარეგისტრიროს, ან ინდივიდუალური მეწარმის სტატუსი მიიღოს თბილისში ან აჭარაში, ასევე ქვემო ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. ნაკლებად

მიმზიდველია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები.

ქვემოთ, 21-ე ცხრილში ჩამოთვლილია ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც არეგისტრირებენ, როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო სუბიექტებს, ხდებიან ინდივიდუალური მეწარმეები, ან აარსებენ უცხოური კომპანიების ფილიალებს საქართველოში - მათ შორის ყველაზე ხშირად ირანის, თურქეთისა და ეგვიპტის მოქალაქეები გვხვდებიან.

ცხრილი 21: რეგისტრირებული ყველა ტიპის სამეწარმეო/არასამეწარმეო სუბიექტების ჯამური რაოდენობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით (2010-2014 წწ.)

ქვეყანა	სულ
ირანი	6,373
თურქეთი	3,692
ეგვიპტე	3,149
ინდოეთი	2,286
რუსეთის ფედერაცია	1,563
აზერბაიჯანი	1,026
უკრაინა	978
ერაყი	889
სომხეთი	851
ჩინეთი	560
აშშ	474
ისრაელი	398
ნიგერია	180

წყარო: *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ წელში განხორციელებული რეგისტრაციების სტატისტიკას. საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე იმიგრანტი მეწარმეების ზეგავლენის თემა დამატებითი კვლევის საგანია საქართველოში; იმიგრაციის როლის პირველადი შეფასება კი, ამ კონტექსტში განხილულია წინამდებარე პროფილის [იმიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენის](#) ნაწილში.

საერთაშორისო დაცვა

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლად ითვლება პირი, რომელიც ქვეყანაში ითხოვს საერთაშორისო დაცვას. ლტოლვილის სტატუსი უნდა მიენიჭოს პირს, ვისაც გონივრული შიში გააჩნია, რომ ის შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე. ხოლო, ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა წარმოშობის ქვეყანა სიცოცხლისათვის საშიში პირობების გამო.

<u>თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა</u>

2010 წლამდე, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საკმაოდ დაბალი იყო: 2005 წლიდან 2010 წლამდე განმცხადებელთა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 300

ადამიანს;[61] მათ უმრავლესობას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ. 2010 წლიდან საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი იწყებს ზრდას და 2014 წელს 1,792 პირს მიაღწია (იხ. ცხრილი 22). მთლიანობაში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი 30-ჯერ გაიზარდა, რაც ასახავს გეოპოლიტიკური მოვლენების განვითარებას საქართველოს სამეზობლოსა და ახლო აღმოსავლეთში. ერაყიდან (2012 წელს) და უკრაინიდან (2014 წელს) თავშესაფრის მაძიებელი მოქალაქეების მოულოდნელი ზრდა შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნებში ბოლო დროს წარმოქმნილი არასტაბილურობით.

ცხრილი 22: საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა, ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით

	განაცხადების რაოდენობა				
ძირითადი წარმოშობის ქვეყნები	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
ერაყი	1	0	438	478	1,070
უკრაინა	n/a	n/a	1	2	419
სირია	0	0	17	60	79
ეგვიპტე	0	0	26	79	41
რუსეთის ფედერაცია	32	33	36	28	30
ირანი	4	31	41	26	44
სხვა	17	15	40	44	109
სულ თავშესაფრის მაძიებლები	**57**	**79**	**599**	**717**	**1,792**

წყაროები: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; ICMPD, 2015 წ.*

საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო 6 წლის განმავლობაში მერყეობს; ხოლო, მას შემდეგ, რაც 2013 წლიდან საქართველომ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება დაიწყო, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა იზრდება (იხ. ცხრილი 23).

ცხრილი 23: საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობა მინიჭებული სტატუსის მიხედვით, და საქართველოს მოქალაქეობის მქონე ლტოლვილთა რაოდენობა (2010-2014 წწ.)

წელი	**ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები**	**ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები**	**სულ**	**საქართველოს მოქალაქეობის მქონე ლტოლვილთა რაოდენობა**
2010	687	0	687	195
2011	478	0	478	113
2012	345	0	345	106
2013	304	46	350	4
2014	297	145	442	27

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის კლება შესაძლებელია ნაწილობრივ აიხსნას იმ ლტოლვილთა რაოდენობის ზრდით, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა

[61] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თანახმად, 2005 წელს თავშესაფრის 23 მაძიებელი დაფიქსირდა, 2006-ში - 19, 2007-ში - 21, 2008-ში - 33 და 2009-ში - 43. https://idfi.ge/ge/statistical-information-on-foreign-citizens-being-granted-residence-permit

მიენიჭა. მათგან უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის მოქალაქე ჩეჩენი ლტოლვილები, რომლებიც ცხოვრობენ ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისის ხეობაში.

ცხრილი 24: უარი ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასა და თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციაზე

წელი	განა-ცხადების საერთო რაოდენობა	სულ უარის რაოდენობა / უარის კოეფიციენტი[62] (საერთო რაოდენობის %)	უარი ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე / უარის კოეფიციენტი (საერთო რაოდენობის %)	უარი თავშესაფრის მაძიებელთა რეგისტრაციაზე / უარის კოეფიციენტი (საერთო რაოდენობის %)
2010	57	47 / 82%	47 / 82%	0
2011	79	36 / 46%	36 / 46%	0
2012	599	94 / 16%	48 / 8%	46 / 8%
2013	717	337 / 47%	254 / 35%	83 / 12%
2014	1,792	362 /20%	228 /13%	134 / 7%

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვერ იღებენ თავშესაფრის მაძიებლები ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსს, არის მათი განაცხადების შეწყვეტა. შეწყვეტილი განაცხადების უმრავლესობის შემთხვევაში, განმცხადებლები არ გამოცხადნენ გასაუბრებაზე, ან თავად მოითხოვეს განაცხადის შეწყვეტა (იხ. ცხრილი 25).

ცხრილი 25: განაცხადების შეწყვეტა, შეწყვეტის მიზეზის მიხედვით

წელი	შეწყვეტილი განაცხადების რაოდენობა	შეწყვეტის მიზეზი			
		შეწყდა განმცხადებლის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის გამო	შეწყდა პირადი განცხადების საფუძველზე	განმ-ცხადებელი დაბრუნდა წარმოშობის ქვეყანაში	განმცხა-დებლის გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გადასახლების პროგრამაში მონაწილეობის გამო
2010	**4**	3	1	0	0
2011	**11**	8	3	0	0
2012	**47**	13	34	0	0
2013	**473**	232	241	0	0
2014	**387**	209	172	1	5

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში საკმაოდ სტაბილურია და ძირითადად შედგება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისგან (იხ. ცხრილი 26).

[62] უარის კოეფიციენტი წარმოადგენს განაცხადების საერთო რაოდენობის პროცენტს.

ცხრილი 26: თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში, თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნების მიხედვით

წარმოშობის ქვეყანა	**2012**	**2013**	**2014**
ერაყი	50	52	31
ეგვიპტე	2	17	7
ირანი	11	2	2
რუსეთი	3	7	4
სირია	1	1	9
სხვა	25	13	23
სულ	**92**	**92**	**76**

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სამეზობლოში მიმდინარე კონფლიქტებმა გამოიწვია რეგიონში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა, რამაც საქართველოს თავშესაფრის სისტემაზეც იქონია გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თავშესაფრის სისტემა ინსტიტუციონალიზებულია, შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ გაძლიერდეს ქვეყნის შესაძლებლობები თავშესაფრის მაძიებელთა გაზრდილ რაოდენობასთან ეფექტურად მუშაობისთვის და დაიხვეწოს იმ პირთა ინტეგრაციის მექანიზმები, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ. არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების განხილვა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანა. მთელი რიგი ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის №100 ბრძანებაში, 2015 წლის 29 ივლისს შეტანილი იქნა ცვლილება, მე-7 მუხლის სახით, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებელთა განსახილველი საქმეების ეფექტურ მართვას. 2015 წლის იანვრიდან სექტემბრამდე მნიშვნელოვანი ძალისხმევა ჩაიდო თავშესაფრის მაძიებელთა განსახილველ საქმეთა წარმოების პროცესში, რის შედეგადაც, მათი რაოდენობა 1,174-დან 209-მდე შემცირდა.

თავშესაფრის მაძიებელთა მასიური შემოდინების შემთხვევაში, ზემოხსენებული ბრძანება არეგულირებს ლტოლვილისა თუ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცესს *Prima Facie* პრინციპით.

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი იმიგრანტები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2010-2014 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნის 13,572 შემთხვევა გამოვლინდა. აღნიშნული რაოდენობა ასახავს იმიგრანტებს, რომლებიც კანონიერი ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ დარჩნენ ქვეყანაში და არ გულისხმობს იმ პირებს ვინც არალეგალურად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი. როგორც ცხრილი 27 გვიჩვენებს, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, ასეთი შემთხვევების რიცხვი თითქმის 40%-ით გაიზარდა.

ცხრილი 27: საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა რაოდენობა (2010-2014 წწ.)

წელი	რაოდენობა
2010	2,674
2011	2,675
2012	2,112
2013	2,541
2014	3,570
სულ	**13,572**

წყარო: *შინაგან საქმეთა სამინისტრო*

ამ ჯგუფში უცხოელთა უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები (საერთო რაოდენობის 60%-ზე ოდნავ მეტი). საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების წარმოშობის ქვეყნების პირველი ხუთეული (იხ. ცხრილი 28) შეადგენს საერთო რაოდენობის თითქმის 90%-ს.

ცხრილი 28: საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები წარმოშობის ქვეყნების პირველი ხუთეულის მიხედვით (2010-2014 წწ.)

წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა
რუსეთი	8,272
ირანი	1,041
ჩინეთი	979
თურქეთი	975
ინდოეთი	668
სხვა	1,637
სულ	**13,572**

წყარო: *შინაგან საქმეთა სამინისტრო*

A4. დაბრუნებითი მიგრაცია

საქართველოში დაბრუნებითი მიგრაციის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს სისტემატიურად აგროვებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (ლტოლვილთა სამინისტრო).

საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მიზეზებად სხვადასხვა კვლევა განსხვავებულ ფაქტორებს ასახელებს, მათ შორის ყურადრება მახვილდება დაბრუნების ხელშემწყობ ეკონომიკურ და ემოციურ ფაქტორებზე. ევროპის სატრენინგო ფონდის (European Training Foundation, ETF) მიერ ჩატარებულ დაბრუნებითი მიგრაციის კვლევის შედეგების თანახმად, დაბრუნების ძირითადი მიზეზები დაკავშირებულია ოჯახურ ვალდებულებებთან, მაშინ როდესაც დეპორტაცია დაბრუნების მიზეზად მხოლოდ 6%-მდე შემთხვევაში დასახელდა (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3: საქართველოში დაბრუნების ძირითადი მიზეზები



წყარო: ETF, 2013

ფრონტექსის მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ ევროკავშირიდან დაბრუნებულთა უმრავლესობა უფრო ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებების შედეგად და არა იძულებითი გარემოებების გამო ბრუნდება ემიგრაციის ქვეყნიდან (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებები და რეალური დაბრუნებები, 2014 წ.



წყარო: FRONTEX, 2015

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროგრამა, რომელიც ემიგრანტებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებაში ეხმარება, საქართველოში 2003 წლიდან ფუნქციონირებს. 2003 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ეს პროგრამა დაბრუნებაში დაეხმარა საქართველოს 4,632 მოქალაქეს. მათი უმრავლესობა შემდეგი ქვეყნებიდან დაბრუნდა: საბერძნეთი (1,832), პოლონეთი (694), შვეიცარია (442), ბელგია (319) და ლატვია (263). მხოლოდ 2010-2014 წლებში, ეს პროგრამა 3,100 ემიგრანტს დაეხმარა საქართველოში დაბრუნებაში (IOM).

<u>რეადმისია</u>

ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ გაფორმებული შეთანხმება, რომელიც 2011 წლის მარტიდან შევიდა ძალაში,

საქართველოს მოქალაქეთა, ისევე როგორც ევროკავშირში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში დაბრუნების ეფექტიან მექანიზმებს აყალიბებს. 2011 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველომ მიიღო 4,031 რეადმისიის განაცხადი, რომელთაგან 3,739 დააკმაყოფილა და მხოლოდ 292 განაცხადზე იქნა მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება. რეადმისიის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 2015 წლის სექტემბრამდე საქართველოში 2,900 პიროვნება დაბრუნდა. რეადმისიის განაცხადების უმრავლესობა მიღებულია გერმანიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და ბელგიიდან (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან განხორციელებული რეადმისიის შემთხვევები (2011-2014 წწ.)



წყარო: *შინაგან საქმეთა სამინისტრო*

აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმების მიზნით. ხელი მოეწერა და ძალაშია შესული საიმპლემენტაციო ოქმები ავსტრიასთან, ბულგარეთთან, ესტონეთთან, ლიტვის რესპუბლიკასთან, ბენილუქსის ქვეყნებთან და უნგრეთთან. საიმპლემენტაციო ოქმების პროექტები მზადაა ხელმოსაწერად: სლოვაკეთის რესპუბლიკასთან, ჩეხეთის რესპუბლიკასა და პოლონეთთან. საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკები სხვადასხვა ეტაპზეა პორტუგალიასთან, გერმანიასთან, საბერძნეთსა და ესპანეთთან. საქართველომ ასევე შეიმუშავა საიმპლემენტაციო ოქმის პროექტი, რომელიც გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების მიზნით გადაეგზავნა იმ ქვეყნებს, საიდანაც ყველაზე დიდია რეადმისიის შესახებ განაცხადთა რაოდენობა - საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი და შვედეთი.

წარმოშობის ან/და ტრანზიტის ქვეყნებთან რეადმისიის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით, საქართველომ შეიმუშავა რეადმისიის შესახებ შეთანხმების პროექტები, რომლებიც მოლაპარაკებების დაწყების მიზნით დიპლომატიური არხების მეშვეობით გადაეგზავნა სომხეთს, აზერბაიჯანს, ბანგლადეშს, ისრაელს, შრი-ლანკასა და პაკისტანს.

ამჟამად, რეადმისიის შესახებ შეთანხმებები საქართველოს გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასთან, დანიასთან, უკრაინასა (საიმპლემენტაციო ოქმებთან ერთად) და მოლდოვასთან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, 2014 წელს შეიქმნა რეადმისიის განაცხადების მართვის

ელექტრონული სისტემა რომლის მეშვეობითაც ხდება რეადმისიის მოთხოვნის განთავსება და განაცხადების დამუშავება. რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დაცულ სივრცეს რეადმისიის პროცედურების ეფექტიანი განხორციელებისთვის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის ატვირთვიდან, რეადმისიას დაქვემდებარებული პირის უშუალოდ ქვეყანაში დაბრუნებამდე. 2014 წლის დეკემბრის მონაცემებით, აღნიშნულ სისტემაში ჩართულია ევროკავშირის 6 ქვეყანა (პოლონეთი, გერმანია, საბერძნეთი, ავსტრია, რუმინეთი და ბულგარეთი).

A5. შიდა მიგრაცია

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, საქართველოში შიდა მიგრაცია გამოწვეული იყო შეიარაღებული კონფლიქტებით, ეკოლოგიური პრობლემებითა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, შიდა მიგრანტების ძირითადი ნაწილი იმ ადამიანებისგან შედგება, ვინც იძულებული იყო კონფლიქტის გამო დაეტოვებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები (იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთიდან) ან ეკოლოგიური საფრთხის გამო მიატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი (ეკომიგრანტები), ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფლად გადავიდა საცხოვრებლად.

იძულებით გადაადგილებული პირები

საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები ორი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება: იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველი ტალღა, რომლებმაც 1991-1993 წლებში იძულებით დატოვეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი, და მეორე ტალღა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულებული პირები. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა, 2014 წელს შეადგენდა, დაახლოებით 260,000[63] (იხ. ქვემოთ ცხრილები 29 და 30), რაც მთელი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7%-ს შეადგენს. იძულებით გადაადგილებულ პირთა გენდერული განაწილების მხრივ, აფხაზეთიდან ოდნავ მეტი იძულებით გადაადგილებული ქალია (53%), ვიდრე მამაკაცი (47%), ხოლო ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა თითქმის თანაბარია. რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა ასაკობრივ შემადგენლობას, ორივე შემთხვევაში, უფრო დიდ ასაკობრივ ჯგუფებს შეადგენდნენ - ახალგაზრდები (18 წლამდე ასაკის) და საშუალო ასაკის (41-65 წლის) პირები. ორივე ტალღის იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში, ოჯახი საშუალოდ 3 წევრისგან შედგება.

[63] იხილეთ ასევე: მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, 2015.

ცხრილი 29: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, გენდერული და ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით

წელი	**იძულებით გადა-ადგილებულ პირთა რაოდენობა (ათასი)**	**იძულებით გადა-ადგილებული ოჯახების რაოდენობა (ათასი)**	**გენდერი**		**ასაკობრივი გადანაწილება**				
			ქალი	მამაკაცი	<18	18-25	26-40	41-65	65<
2010	226,218	76,088	123,166	103,052	57,018	23,870	46,914	70,250	28,166
2011	230,439	76,357	125,094	105,345	58,817	23,490	47,943	71,813	28,376
2012	235,119	76,489	127,252	107,867	61,401	22,976	49,064	73,281	28,397
2013	238,037	77,297	128,916	109,121	62,865	22,516	49,561	74,077	29,018
2014	227,733	74,461	122,942	104,791	62,644	21,091	46,053	70,021	27,924

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ცხრილი 30: ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, გენდერული და ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით

წელი	**იძულებით გადა-ადგილებულ პირთა რაოდენობა (ათასი)**	**იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების რაოდენობა (ათასი)**	**გენდერი**		**ასაკობრივი გადანაწილება**				
			ქალი	მამაკაცი	<18	18-25	26-40	41-65	65<
2010	31,022	10,445	15,954	15,068	8,521	3,589	6,537	8,678	3,697
2011	32,168	10,566	16,525	15,643	8,947	3,646	6,751	9,037	3,787
2012	33,488	10,737	17,143	16,345	9,416	3,659	7,091	9,384	3,938
2013	34,923	11,205	17,839	17,084	9,773	3,729	7,371	9,861	4,189
2014	34,920	11,272	17,808	17,112	9,906	3,635	7,314	9,853	4,212

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

2014 წლის მონაცემების მიხედვით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 56% კოლექტიურ ცენტრებში, ხოლო 44% კერძო საცხოვრებლებში ცხოვრობს. ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში, უმეტესობა - 62% - კომპაქტურ დასახლებებში და 38% - კერძო საცხოვრებლებში ცხოვრობს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა ოდნავ მერყეობს, რაც შესაძლოა გამოწვეულია იმით, რომ ზოგმა მათგანმა გადაწყვიტა შეეჩერებინა იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი ან დააგვიანა რეგისტრაცია, ან ემიგრაციის გამო ვერ შეძლო სტატუსის განახლება.

რეგიონული გადანაწილების მხრივ, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა თბილისში ან აფხაზეთის მეზობელ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია კონცენტრირებული. ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითადი ნაწილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მომიჯნავე შიდა ქართლის რეგიონშია განსახლებული, სადაც განსახლების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა,

ცხრილი 31: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, განსახლების რეგიონების მიხედვით (2010-2014 წწ.)

	განსახლების რეგიონი										
წელი	**თბილისი**	**აჭარა**	**გურია**	**იმერეთი**	**კახეთი**	**მცხეთა-მთიანეთი**	**რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი**	**სამეგრელო, ზემო სვანეთი**	**სამცხე-ჯავახეთი**	**ქვემო ქართლი**	**შიდა ქართლი**
2010	91,505	4,691	584	26,798	1,160	1,020	960	87,131	2,178	8,263	1,928
2011	93,063	4,763	524	26,676	1,200	1,034	935	89,438	2,198	8,655	1,953
2012	95,081	6,602	534	25,786	1,250	1,044	945	90,458	2,228	9,180	2,011
2013	98,920	6,694	505	25,855	1,245	908	914	89,581	2,252	9,114	2,049
2014	94,721	6,466	488	25,037	1,181	859	839	85,075	2,167	8,923	1,977

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ცხრილი 32: ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები მათი განსახლების რეგიონების მიხედვით (2010-2014 წწ.)

წელი	**განსახლების რეგიონი**										
	თბილისი	**აჭარა**	**გურია**	**იმერეთი**	**კახეთი**	**მცხეთა-მთიანეთი**	**რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი**	**სამეგრელო, ზემო სვანეთი**	**სამცხე-ჯავახეთი**	**ქვემო ქართლი**	**შიდა ქართლი**
2010	4,727	11	4	110	241	8,945	2	12	141	3,092	13,737
2011	4,900	13	3	118	288	9,397	1	15	140	3,265	14,028
2012	5,053	36	3	123	303	9,861	1	22	143	3,451	14,492
2013	5,674	36	5	125	302	10,219	1	22	145	3,633	14,761
2014	5,790	35	6	119	300	10,091	2	22	145	3,673	14,737

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ეკოლოგიური მიგრანტები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების განსახლებას საცხოვრებელ ობიექტებში, რომლებსაც სამინისტრო იძენს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. 2014 წლის 1 ივნისიდან სამინისტროში მუშაობს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ ეკომიგრანტთა ოჯახების განსახლების პროცესის მართვა.

ბოლო წლების განმავლობაში, სამინისტრომ საქართველოს მუნიციპალიტეტების 122 დასახლებაში საცხოვრებლით უზრუნველყო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 1,186 ოჯახი. დაზარალებული ოჯახებისათვის სახლების შესყიდვა ხდება, როგორც ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ასევე დონორთა დაფინანსებით. 2010-2014 წლებში, ამ მიზნით მობილიზებული იქნა 1,643,900.8 ლარი და შესყიდული იქნა 86 საცხოვრებელი სახლი.

ცხრილი 33: ეკომიგრანტთა ალტერნატიული საცხოვრებლის შესაძენად გამოყოფილი სახსრები (2010-2014 წწ.)

წელი	საერთო დაფინანსება (ლარი, ათასი)	სახელმწიფო ბიუჯეტი (ლარი, ათასი)	დაფინანსების სხვა წყაროები (ლარი, ათასი)	შესყიდული საცხოვრებლების საერთო რაოდენობა
2010	0	0	0	0
2011	85,900	0	85,900	5
2012	231,400	0	231,400	12
2013	647,800	647,800	0	33
2014	678,800	601,300	77,500	36
სულ	**1,643,900**	**1,249,100**	**394,800**	**86**

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებული ტექნიკური დახმარების“ ფარგლებში ეკომიგრანტთა ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის დასანერგად იქმნება მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობით, მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამინისტრო შექმნის მონაცემთა ბაზას, რომელიც მას დაეხმარება სტატისტიკური მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებასა და დასახული ამოცანების მიღწევაში.

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში

2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,729,500 შეადგინა.[64] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობა 642,000-ით შემცირდა. [65] აღწერათაშორის პერიოდში შეიცვალა ქალაქი-სოფლის მოსახლეობის სტრუქტურა, ქალაქის მოსახლეობის წილი მცირედით გაიზარდა, ხოლო სოფლის მოსახლეობის წილი შემცირდა. სავარაუდოდ ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირება გამოწვეულია ძირითადად ემიგრაციით, ვიდრე ქალაქიდან სოფელში მიგრაციით, ხოლო სოფლის მოსახლეობის თითქმის ნახევარ მილიონიანი შემცირების შემთხვევაში ძნელია გარე და შიდა მიგრაციის წილის განსაზღვრა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ქალაქის მოსახლეობის წილი 5%-ით გაიზარდა. [66] თბილისისა (5,2%-იანი ზრდა) და ბათუმის (26,3%-იანი ზრდა) მოსახლეობის შემთხვევაში, ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ქალაქების საზღვრების გაფართოებით, ხოლო რუსთავის მოსახლეობის შემთხვევაში 7,3%-იანი ზრდა ქალაქის იმავე საზღვრებში აღინიშნა.[67]

---

[64] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=152&lang=eng. ეს გათვლები 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ მონაცემებს ეფუძნება.

[65] 2015 წლის პირველი იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს 2014 წლის აღწერის წინასწარი შედეგები; ხოლო 2014 წლის 1 იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობა გაანგარიშებულია 2002 წლის აღწერის მონაცემებისა და ყოველწლიური ბუნებრივი მატების საფუძველზე.

[66] http://unstats.un.org/unsd/demographic/sources/census/2010_PHC/Georgia/GEO-2015-05-04.pdf

[67] http://unstats.un.org/unsd/demographic/sources/census/2010_PHC/Georgia/GEO-2015-05-04.pdf

მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია საქართველოს ორ რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (37,4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (29%) დაფიქსირდა. ორივე ნაწილობრივ ან მეტწილად მაღალმთიანი რეგიონებია და კლების ტენდენცია შესაძლოა დეპოპულაციაზე მიუთითებდეს. სავარაუდოდ შობადობის შედარებით მაღალი დონის გამო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას ყველაზე ნაკლებად შეეხო შემცირება. მიუხედავად ამისა აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის 10,6%-იანი კლება დაფიქსირდა.[68]

დიაგრამა 6: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა საქართველოში[69]



წყარო: საქსტატი

საქსტატის შინამეურნეობის ინტეგრირებული კვარტალური გამოკვლევის მეშვეობით ხდება მიგრაციის შესახებ გარკვეული მონაცემების შეგროვება. 2013 წლის შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების თანახმად, „ყველაზე მაღალი მობილურობა ერთი და იმავე რეგიონის ფარგლებში ფიქსირდება და 61-86% შორის მერყეობს.[70] რესპონდენტების 14-36%-მა შეიცვალა საცხოვრებელი რეგიონი[71] და მხოლოდ 1% ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან“ [72] (იხ. ცხრილი 34). ამავდროულად, რესპონდენტთა 45%-ს არასდროს შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი, ხოლო დარჩენილი (55%-ის) დიდმა ნაწილმა - 83%-მა, გამოკვლევის ჩატარებამდე ხუთზე მეტი წლის წინ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და მხოლოდ 17%-მა - გამოკითხვის ჩატარებამდე ხუთი წლის განმავლობაში. 2014 წლის შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევა თითქმის ასეთივე სურათს გვიჩვენებს (იხ. ცხრილი 35), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სავარაუდოდ, მიგრაციული ტენდენციები ანალოგიური ხასიათისაა მოცემულ წლებში.

[68] http://unstats.un.org/unsd/demographic/sources/census/2010_PHC/Georgia/GEO-2015-05-04.pdf

[69] http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf

[70] პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება გამოკვლევამდე კონკრეტულ პერიოდში იმ რესპონდენტების რაოდენობის მიხედვით, ვინც შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

[71] პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება გამოკვლევამდე კონკრეტულ პერიოდში იმ რესპონდენტების რაოდენობის მიხედვით, ვინც შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

[72] მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, 2015, გვ. 62.

ცხრილი 34: შიდა მიგრაცია 2013 წელს

გამოკითხვის მომენტისთვის მოცემულ მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა	რესპონდენტები	იმავე რეგიონის ფარგლებში		სხვა რეგიონიდან		საზღვარგარეთიდან	
		რესპონდენტი	მწკრივის %	რესპონდენტი	მწკრივის %	რესპონდენტი	მწკრივის %
1 წელზე ნაკლები	1,361	1,084	79.6	226	16.6	51	3.7
1-დან 3 წლამდე	1,565	1,142	73.0	391	25.0	32	2.0
3-დან 5 წლამდე	855	518	60.6	308	36.0	29	3.4
5 წელზე მეტი	18,235	15,587	85.5	2,471	13.6	177	1.0
არასდროს შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი	17,910	-	-	-	-	-	-
სულ	**39,926**						

წყარო: *შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევა, საქსტატი, 2013 წ.; საკუთარი გამოთვლები*

ცხრილი 35: შიდა მიგრაცია 2014 წელს

გამოკითხვის მომენტისთვის მოცემულ მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა	რესპონდენტი	იმავე რეგიონის ფარგლებში		სხვა რეგიონიდან		საზღვარგარეთიდან	
		რესპონდენტი	მწკრივის %	რესპონდენტი	მწკრივის %	რესპონდენტი	მწკრივის %
1 წელზე ნაკლები	1,362	1,080	79.3	234	17.2	48	3.5
1-დან 3 წლამდე	1,331	1,055	79.3	246	18.5	30	2.3
3-დან 5 წლამდე	731	533	72.9	180	24.6	18	2.5
5 წელზე მეტი	18,294	15,576	85.1	2,559	14.0	159	0.9
არასდროს შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი	17,809	-	-	-	-	-	-
სულ	**39,527**						

წყარო: *შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევა, საქსტატი, 2014 წ.; საკუთარი გამოთვლები*

ცხრილი 36: შიდა მიგრაცია (2013-2014 წწ.)

წელი	რესპონდენტთა საერთო რაოდენობა	არასდროს შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი	საერთო რაოდენობის %	იმავე რეგიონის ფარგლებში	საერთო რაოდენობის %	სხვა რეგიონებიდან	საერთო რაოდენობის %	საზღვარგარეთიდან	საერთო რაოდენობის %
2013	39,926	17,910	44.9	18,331	45.9	3,396	8.5	289	0.7
2014	39,527	17,809	45.1	18,244	46.2	3,219	8.4	255	0.6

წყარო: *შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევა, საქსტატი, 2013-2014 წ.; საკუთარი გამოთვლები*

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მთავარი ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ უცხოელთა საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციაზე. როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოსახლეობის რეგისტრაციის მონაცემებიდან ჩანს, მთავარ ტენდენციად ურბანიზაცია გვევლინება, უფრო კონკრეტულად კი, ე.წ. *„თბილისიზაცია“*. 2010-2014 წლებში, 51,332 ადამიანმა შეიცვალა რეგისტრაციის ადგილი და ახალ მისამართზე დარეგისტრირდა თბილისში. ამ პირთა შორის, უმრავლესობას სხვა ქალაქების (24,829) ან სოფლების მოსახლეობა (24,377) შეადგენს, ვინც საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და

შესაბამისად რეგისტრაციის მისამართიც შეიცვალა. შედარებისთვის, სოფლებიდან თბილისის გარდა სხვა ქალაქებში გადასახლებულ მიგრანტთა რაოდენობა იგივე პერიოდში 39,403 შეადგენდა. ამდენად, იმ ადამიანთა საერთო რაოდენობა, ვინც რეგისტრაციის მისამართი შეიცვალა და ქალაქად დარეგისტრირდა 90,735-ს შეადგინა.

ამავდროულად, საკმაოდ დიდია ქალაქიდან სოფელში გადაადგილებულთა რიცხვი: 2010-2014 წლებში 64,809 ადამიანმა შეიცვალა რეგისტრაციის მისამართი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანების ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, შიდა მიგრაცია შესაძლებელია უფრო დიდი მოცულობისა იყოს. მოსახლეობის რეგისტრაციის მონაცემთა გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გეგმავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას, რაც ამ მიმართულებით მიზნობრივი პროექტის განხორციელებას დაედება საფუძვლად.

A6. ადამიანით ვაჭრობა

საქართველო წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით წარმოშობის, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყანას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2014 წლის ანგარიშში საქართველო შეყვანილია იმ ქვეყანათა მეორე კალათაში, რომლებიც სრულად ვერ აკმაყოფილებენ 2000 წელს მიღებულ „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონის მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს ამ სტანდარტებთან მიახლოებისათვის.[73] აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ პროგრესს მიაღწია ოთხივე მიმართულებით: ქვეყანამ შეძლო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის პრევენციულ და მსხვერპლთა დაცვის ზომების/ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოვლენის გაზრდილ რაოდენობასთან და პარტნიორ ქვეყნებთან, ისევე როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გაღრმავებულ თანამშრომლობასთან. ამასთანავე, ანგარიში ხაზს უსვამს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ძალისხმევის დადებით შედეგებს, როგორიცაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შრომითი პირობების ინსპექტირების ინსტიტუტის დანერგვა.[74]

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სახელმწიფო დაწესებულებები აქტიურად ახორციელებდნენ სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ხასიათის ღონისძიებებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემის ეფექტიანად გადასაჭრელად. ამ მიმართულებით ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 2003 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის თანახმად, ტრეფიკინგი განიმარტება, როგორც ექსპლუატაციის მიზნით ადამიანის დაქირავება, გადაყვანა, გადაცემა, გადამალვა ან მიღება მუქარის,

[73] Trafficking in Persons Report, 2014, http://www.state.gov/documents/organization/226846.pdf, *იხ. ასევე* Trafficking in Persons Report, 2015, http://www.state.gov/D4086E97-D7A2-4962-BD40-08A2326107BF/FinalDownload/DownloadId-06390CF999285A483E1052C4B754CBDA/D4086E97-D7A2-4962-BD40-08A2326107BF/documents/organization/245365.pdf. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიშის მიხედვით, ქვეყნები განაწილებულია 4 კალათად (პირველი კალათა რანგით ყველაზე მაღლა დგას, ხოლო მე-3 - ყველაზე დაბლა) და ქვეყნების გადანაწილება დამოკიდებულია მათი მთავრობების მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებებზე. აღნიშნულ ანგარიშში კონკრეტულად ფასდება მთავრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია აშშ-ს 2000 წლის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონის მინიმალური სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

[74] Trafficking in Persons Report 2015, http://www.state.gov/documents/organization/245365.pdf

ძალის, მოტყუების ან იძულების სხვა საშუალებით.[75] სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ადამიანით ვაჭრობის კრიმინალიზაციის დებულებები (მუხლები 143[1] და 143[2]), რომლებიც ითვალისწინებს, როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის კრიმინალიზაციას. ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[3]-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობის უკანონობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას მტკიცებულებების მოპოვებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებით მოსარგებლე პირების (რომლებიც დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელ ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ითვლებიან) სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში[76] ახლახან შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები.[77] ამასთანავე, საქართველომ მოახდინა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმისა (პალერმოს ოქმი) და ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის რატიფიცირება.[78]

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“,[79] რის შედეგადაც დაარსდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.[80]

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდზე სახელმწიფო კონტროლს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს. ფონდი ტრეფიკინგის მსხვერპლებს და დაზარალებულებს სთავაზობს ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა თავშესაფრით (ორი თავშესაფარი), სამედიცინო, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარებით უზრუნველყოფა. ფონდი ბენეფიციარებს ასევე სთავაზობს ერთჯერად კომპენსაციას, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებს.[81] სახელმწიფო ფონდში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს, აერთიანებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების, პარლამენტის, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს და

---

[75] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განყოფილება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. http://police.ge/en/projects/you-are-not-for-sale

[76] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[3]-ე მუხლში ცვლილება შევიდა 2015 წლის 24 ივლისს. ცვლილება ძალაშია 2015 წლის 4 აგვისტოდან.

[77] ცვლილება ითვალისწინებს იმ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებას, ვინც ისარგებლა ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებით, თუმცა, მან ამის თაობაზე ინფორმაცია გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

[78] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განყოფილება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. http://police.ge/en/projects/you-are-not-for-sale

[79] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განყოფილება. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/344

[80] მოხსენება, რომელიც ეხება საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის განხორციელებას. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/trafficking/docs/Reports/GRETA_2011_24_FGR_GEO_en.pdf

[81] Second Progress Report on the implementation by Georgia of the Action Plan on Visa Liberalisation. Report from the Commission to the European Parliament and the Council. http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-is-new/news/news/docs/20141029_second_progress_report_for_georgia_en.pdf
ფონდის საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: http://www.atipfund.gov.ge/

კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას. საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, ორ წელიწადში ერთხელ, შეიმუშავებს და ამტკიცებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია, მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა, პროაქტიული გამოძიება, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და კოორდინაციის გაუმჯობესება საერთაშორისო და ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს შორის.

ადამიანით ვაჭრობის შესახებ მონაცემებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რამდენიმე სახელმწიფო უწყება აგროვებს: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. იუსტიციის სამინისტრო, როგორც ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი და წამყვანი უწყება, ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოებიდან და სახელმწიფო ფონდიდან აგროვებს და რეგულარულად ანახლებს ტრეფიკინგის მონაცემთა ბაზას. საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მონაცემებს თავს უყრის ინტეგრირებულ ბაზაში, რომელიც მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლოში გადაგზავნილი საქმეები და ტრეფიკინგის საქმეებზე გამოტანილი განაჩენი, ექსპლუატაციის ტიპი, წარმოშობისა და დანიშნულების ადგილი/ქვეყანა, მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა ასაკი, სქესი და ეროვნება, სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფარგლებში მიღებული და გაგზავნილი შუამდგომლობებისა და ექსტრადირებულ პირთა რაოდენობა, ფონდის მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის გაწეული მომსახურება.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, ადამიანით ვაჭრობის შემთხვევათა გამოძიებების რაოდენობა წელიწადში 10-ს (2012 წ.) და 13-ს (2014 წ.) შორის მერყეობდა. ქვემოთ მოყვანილ 37-ე ცხრილში მოცემულია მონაცემები გამოძიებების, ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოტანილი განაჩენების რაოდენობის შესახებ.

ცხრილი 37: ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთა სტატისტიკა

	2010	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
გამოძიება	11	11	10	11	13[82]
პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა	4	4	1	5	5[83]
სასამართლოში გადაგზავნილი საქმეები	0	4[84]	1	4	4
გამოტანილი განაჩენი	0	4[85]	1	2	6[86]

წყარო: *იუსტიციის სამინისტრო, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო*

[82] ერთ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო, როგორც არასრულწლოვანი ისე სრულწლოვანი ადამიანების ტრეფიკინგისთვის.

[83] ერთი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირების მიმართ ჩადენილი ტრეფიკინგისთვის.

[84] ორი საქმე ეხებოდა, როგორც არასრულწლოვანი, ასევე სრულწლოვანი ადამიანების ტრეფიკინგს.

[85] ორ ადამიანს მსჯავრი დაედო, როგორც არასრულწლოვანი, ასევე სრულწლოვანი ადამიანების ტრეფიკინგში.

[86] ამ შემთხვევაში 6 ადამიანს მსჯავრი დაედო ოთხ სხვადასხვა საქმეში, რადგან ისინი მოიცავდა, როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი ადამიანების ტრეფიკინგს.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, არასრულწლოვანი ან/და სრულწლოვანი ადამიანებით ვაჭრობის ბრალდებით 13 ადამიანს დაუდგინდა ბრალი. მსჯავრდებულთა ნახევარზე ოდნავ მეტი (13-დან 7) საქართველოს მოქალაქე იყო; მსჯავრდებულთა შორის ასევე იყვნენ უზბეკეთის და თურქეთის (3-3 მსჯავრდებული), ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და ისრაელის მოქალაქეები თითო-თითო მსჯავრდებულით. აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) მსჯავრდებულთა უმრავლესობა 30-69 წლის ასაკის ქალია.

2014 წლის *მონობის გლობალური ინდექსის* (Global Slavery Index) თანახმად, საქართველოს მთავრობა მსოფლიოს იმ მთავრობებს შორისაა, რომლებიც ყველაზე მეტ ღონისძიებას ახორციელებენ თანამედროვე მონობის აღმოსაფხვრელად.[87] საქართველოს მე-9 ადგილი უკავია ჰოლანდიას, შვედეთს, აშშ-ს, ავსტრალიას, შვეიცარიას, ირლანდიას, ნორვეგიას, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრიას შორის.

იმავე წყაროს მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, საქართველო პირველ ადგილზეა ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფო დონეზე განხორციელებული ზომებით. რეგიონში მხოლოდ საქართველომ მოახდინა თანამედროვე მონობის სამივე ფორმის კრიმინალიზაცია.[88]

ცხრილი 38 გვიჩვენებს, რომ მსხვერპლის გამოვლენისთანავე, სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფენ შესაბამის დახმარებას, როგორც თავშესაფრისა და კომპენსაციის სახით, ასევე ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარების თვალსაზრისით.

ცხრილი 38: სახელმწიფო დახმარება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის

დახმარების ტიპი	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
თავშესაფარში განთავსება	8	6	7	5	5
ფსიქოლოგიური დახმარება	8	6	7	5	5
სამედიცინო დახმარება	8	5	6	3	5
იურიდიული დახმარება	18	6	7	32	9
ერთჯერადი კომპენსაცია	2	6	6	21	9
სულ	**20**	**8**	**15**	**36**	**11**

წყარო: *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი*[89]

ადამიანით ვაჭრობასთან მიმართებაში შემდეგი ტენდენციები შეიმჩნევა:

- საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ უფრო ხშირად შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან, ვიდრე სექსუალურისა;
- საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში, მათი შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების უმეტესობა გამოვლენილია თურქეთში და შედარებით ნაკლები - კვიპროსსა და ერაყში (ძირითადად მამაკაცები);
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობა 18 წელს გადაცილებული პირია, თუმცა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოვლენილი იქნა არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის - სექსუალური თუ შრომითი ექსპლუატაციის - შემთხვევებიც.

[87] https://d3mj66ag90b5fy.cloudfront.net/wp-content/uploads/2014/11/Global_Slavery_Index_2014_final_lowres.pdf

[88] https://d3mj66ag90b5fy.cloudfront.net/wp-content/uploads/2014/11/Global_Slavery_Index_2014_final_lowres.pdf

[89] სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული ციფრები მიუთითებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის გაწეული მომსახურების რაოდენობას. ეს ციფრები არ მიუთითებს მსხვერპლთა და დაზარალებულთა რაოდენობას.

ნაწილი B. მიგრაციის გავლენა

B1. დემოგრაფიული ასპექტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელიც ეფუძნება 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ ინფორმაციას, 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებთან შედარებით დაახლოებით 600,000-ით შემცირდა (იხ. ცხრილი 39).[90] 2002 წელს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოუცველობით, ასევე გარე-მიგრაციული პროცესებით, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკური უმცირესობების - ძირითადად, რუსი და სომეხი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა - წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნებით.[91] 2014 წელს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ასახსნელად საჭიროა გადაიხედოს არსებული დემოგრაფიული მონაცემები, რადგან საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღინიშნებოდა დადებითი ბუნებრივი მატება და ამასთან ერთად მიგრაციის სალდოც არ იყო მაღალი. სავარაუდოდ, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია ემიგრაციით, თუმცა საქსტატის მიერ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სრული შედეგების გამოქვეყნებამდე, ეს საკითხი განსჯის საგნად რჩება.

ცხრილი 39: საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა

წელი	მამაკაცი	ქალი	სულ
1989 წ.	2,563,040	2,838,801	5,400.841
2002 წ.	2,061.753	2,309.782	4,371.535
2014 წ.[92]	1,778.500	1,951.000	3,729.500

წყარო: საქსტატი

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია, რადგან 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 14%-ს შეადგენს. მოსახლეობის დაბერება, ისევე როგორც შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, შესაძლებელია ემიგრაციის კიდევ ერთი უარყოფითი გავლენა იყოს, ვინაიდან ემიგრანტთა საშუალო ასაკი დაახლოებით 34 წელს შეადგენს (საქსტატი).[93]

ცხრილი 40: საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრისთვის

ასაკობრივი ჯგუფები	მამაკაცი	ქალი	სულ
0-4	132,900	123,900	256,800
5-19	326,200	292,200	618,400
20-44	685,200	692,600	1,377.800
45-64	437,700	519,700	957,400
65+	196,500	322,600	519,100
სულ	**1,778.500**	**1,951.000**	**3,729.500**

წყარო: საქსტატი

[90] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=152&lang=eng

[91] ეთნიკურად რუსი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 341,200-დან (1989 წ.) 67,700-მდე (2002 წ.) ხოლო სომეხი მოსახლეობის რაოდენობა იმავე წლებში - 437,200-დან 248,900-მდე (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები).

[92] წინასწარი მონაცემები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

[93] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=173&lang=eng

ვინაიდან 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული, რთულია მსჯელობა იმის შესახებ, შეიცვალა თუ არა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა აღწერათაშორის პერიოდში,[94] და რა გავლენა მოახდინა ემიგრაციულმა პროცესებმა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებზე.

გარე და შიდა მიგრაციის შედეგად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი (იხ. ცხრილი 41). როგორც ზემოთ არის განხილული (იხ. ამ პროფილის ნაწილი - მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში), მოსახლეობის რიცხოვნობის კლება შეინიშნება როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ცხრილი 41: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა, 1989-2015 წწ.[95]

მოსახლეობა	**1989**	**2002**	**2015**	**1989**	**2002**	**2015**
	N	**N**	**N**	**%**	**%**	**%**
ქალაქი	2,991.352	2,284,796	2,140.400	55.4	52.3	57.4
სოფლი	2,409.489	2,086,739	1,590.000	44.6	47.7	42.6
სულ	**5,400.841**	**4,371.535**	**3,730.000**	**100.0**	**100.0**	**100.0**

წყარო: *საქსტატი*

საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე შესაძლოა შემდეგი შიდა და გარე მიგრაციული ფაქტორები ახდენდნენ გავლენას:

- საერთაშორისო მიგრაციის შედეგად მოსახლეობა ბერდება;
- საერთაშორისო მიგრაციის შედეგად მდედრობითი სქესის მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება;
- შიდა და გარე მიგრაციის შედეგად სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება და გარკვეულ ტერიტორიებზე იქმნება დეპოპულაციის საფრთხე.

B2. ეკონომიკური ასპექტი

ფულადი გზავნილები

შემოდინება

ბოლო 15 წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა საზღვარგარეთ მყოფ ემიგრანტთა მიერ საქართველოში ფორმალური არხების მეშვეობით გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა.[96] გამონაკლისს წარმოადგენდა 2009 წელი, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური

[94] 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა შედგებოდა შემდეგი ეთნიკური ჯგუფებისგან: ქართველები (38,8%), აზერბაიჯანელები (6,5%), სომხები (5,7%), რუსები (1,5%) და სხვა ეთნიკური ჯგუფები (2,5%).

[95] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. 2014 წლის მონაცემები მოიცავს 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარ მონაცემებს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf

[96] საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულადი გზავნილების შესახებ მონაცემები ასახავს ელექტრონული გადარიცხვის სისტემებით განხორციელებულ ფულად გადარიცხვებს საქართველოდან და საქართველოში („ვესტერნ იუნიონი", „მანიგრამი", „ანელიკი", „იუნისტრიმი" და ა.შ.). მონაცემები აღებულია კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშებიდან, მათ შორის საქართველოში არარეზიდენტი ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებიდან. იხილეთ საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო სექტორის სტატისტიკის მეთოდოლოგიური შენიშვნები. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული მონაცემები არ მოიცავს არაფორმალური გზით განხორციელებულ გადარიცხვებს, დაქირავებულთა ხელფასებს, ან ქართულ საბანკო ანგარიშებზე განხორციელებულ გადარიცხვებს.

კრიზისის გამო და 2014 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების შემოდინებამ იკლო (იხ. დიაგრამები 7 და 8).

ფულადი გზავნილების მოცულობა იზრდება, როგორც აბსოლუტური თვალსაზრისით, ისე საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც ხუთზე მეტჯერ გაიზარდა 2001-დან 2014 წლამდე პერიოდში და 2014 წელს 16,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყოველწლიურად ფულადი გზავნილების სახით დიდი მოცულობის თანხები შემოედინება, ქვეყნის ეკონომიკა გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული არ არის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2014 წელს როდესაც მშპ მიმდინარე ფასებში 16,507.8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.[97] ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,440.8 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია,[98] აქედან ფულადი გზავნილების წილი მშპ-ს 8,7% იყო.

დიაგრამა 7: ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)



* 2014 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გამოთვლილია წინასწარი მონაცემების მიხედვით;

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი*

2009 წლიდან 2014 წლამდე, ფულადი გზავნილების ყოველწლიური ოდენობა ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ რაოდენობას აჭარბებდა. 2013 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 941.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ოფიციალური არხებით განხორციელებულმა ფულადი გზავნილების ოდენობამ - 1,477 მილიონი აშშ დოლარი. ეს ტენდენცია 2014 წელს შეიცვალა, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 1,758.4 მილიონ აშშ დოლარს (86,7% წლიური ზრდა), ხოლო საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების რაოდენობამ კი - 1,440.8 მილიონი აშშ დოლარს მიაღწია.

2002 წლიდან 2006 წლამდე ფულადი გზავნილების მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში ფულადი გზავნილების ოფიციალურ არხებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა და საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იყო - განსაკუთრებით სოფლად.[99]

---

[97] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng

[98] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

[99] Zurabishvili, 2012, Dynamics of Remittances in Georgia, CARIM-East Research Report http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2012-32.pdf

ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა იმ ქვეყნებიდან შემოედინება, სადაც უფრო შესამჩნევია ქართული დიასპორისა და ემიგრანტთა ყოფნა - რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, უკრაინა და თურქეთი (იხ. დიაგრამა 8). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კვლავ პირველ ადგილზეა ფულადი გზავნილების გამომგზავნი ქვეყნების სიაში, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა თითქმის 100 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. 2015 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემები ფულადი გზავნილების შემცირების ტენდენციას ადასტურებს.[100] საინტერესოა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, კრიზისის მიუხედავად, ფულადი გზავნილები სტაბილურად იზრდება საბერძნეთიდან, თუმცა შესაძლებელია, ეს ტენდენცია 2015 წელს შეიცვალოს. იტალიიდან შემოსული ფულადი გზავნილების შემთხვევაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში, შეინიშნება საკმაოდ სტაბილური ზრდა.

დიაგრამა 8: საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილები ძირითადი ქვეყნების მიხედვით (2010-2014 წწ., ათასი აშშ დოლარი)



წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*

<u>გადინება</u>

საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადარიცხული ფულადი გზავნილების წლიური მოცულობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად იზრდება: ეს მაჩვენებელი 46.4 მილიონი აშშ დოლარიდან (2004 წ.), 178 მილიონ აშშ დოლარამდე (2014 წ.) გაიზარდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ყველაზე დიდი ზრდა 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაკეთებული ფულადი გადარიცხვები 43%-ით, 108 მილიონი აშშ დოლარიდან (2012 წ.) 155 მილიონ აშშ დოლარამდე (2013 წ.) გაიზარდა (იხ. ცხრილი 42).

ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოდან გადარიცხული ფულადი გზავნილების ძირითად მიმღებ ქვეყნებს შორის ისევ ის ქვეყნები დომინირებს, სადაც დიდი რაოდენობით ქართველი ემიგრანტი და დიასპორული ჯგუფია; ეს ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა და თურქეთი. ევროკავშირის ქვეყნებს შორის აღსანიშნავია საბერძნეთი, გერმანია და საფრანგეთი, სადაც ყოველწლიურად 2-3 მილიონი აშშ დოლარის გადარიცხვა ხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანაში ნიგერიიდან ჩამოსულ იმიგრანტთა რაოდენობის

[100] საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები, ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304&lng=geo

ზრდასთან ერთად, შეიმჩნევა ნიგერიაში ფულადი გზავნილების გადინების ზრდის ტენდენციაც - აღნიშნულმა მაქსიმალურ ოდენობას 2013 წელს მიაღწია (იხ. ცხრილი 42).

ცხრილი 42: ფულადი გზავნილების გადინება ძირითადი მიმღები ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

დანიშნულების ქვეყანა	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
რუსეთი	32,243	32,464	35,528	51,219	72,808
უკრაინა	17,022	19,494	19,016	22,278	19,124
საბერძნეთი	15,406	11,287	10,446	17,036	18,576
თურქეთი	4,274	3,609	3,630	4,311	5,355
აზერბაიჯანი	2,157	2,252	2,968	5,193	7,482
იტალია	5,274	3,323	2,619	3,937	3,748
სომხეთი	1,577	2,050	2,880	4,255	5,854
გერმანია	1,845	2,476	3,026	3,587	3,829
საფრანგეთი	1,198	2,336	1,804	2,724	2,567
ნიგერია	76	213	1,248	5,526	3,509
სულ	**103,345**	**100,255**	**108,191**	**155,199**	**178,169**

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*

ფულადი გზავნილების ზეგავლენა

არსებულ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით, საქართველოში ფულადი გზავნილების ზეგავლენა შემდეგ სფეროებში შეინიშნება: სიღარიბის დონის შემცირება, უცხოური ვალუტის შემოდინების სტაბილიზაცია, ადგილობრივი მოხმარების სტიმულირება და მოსახლეობის მიერ განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდა.

CRRC-ის 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის შედეგების თანახმად, საველე სამუშაოების ჩატარების პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის საშუალოდ 11% იღებდა ფულად გზავნილებს საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისგან.[101] გზავნილების მიმღებთა სქესსა ან დასახლების ტიპს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება. თუმცა, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა და შედარებით უკეთესი განათლების მქონე მოსახლეობა უფრო ხშირად იღებს ფულად გზავნილებს, ვიდრე ხანში შესული მოსახლეობა,[102] რომელიც ქვეყანაში ყველაზე დაუცველ ჯგუფად ითვლება.[103] არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ფულად გზავნილთა დიდი ნაწილი ძირითადად პირველადი მოხმარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება. ფულად გზავნილთა შედარებით მცირე წილი ხმარდება ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და უძრავ ქონებაში ინვესტირებას.[104]

ზემოთ აღნიშნული კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილების გავლენა შეინიშნება სიღარიბის დონის შემცირებაზე, როგორც ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებში, ისე ზოგადად იმ რეგიონებში, სადაც მაღალია ფულადი გზავნილების მიმღები

[101] CRRC, კავკასიის ბარომეტრი, 2013 წ. http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/INCSOUAB-by-SETTYPE/

[102] Gugushvili, A. 2013. The Development and the Side Effects of Remittances in the CIS Countries and Georgia; CARIM-East Research Report 2013/29.

[103] საქსტატი, შინამეურნეობის შემწეობის მიმღებ პირთა კატეგორიები. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=200&lang=eng

[104] EBRD, 2007, Georgian National Public Opinion Survey on Remittances, http://www.ebrd.com/downloads/sector/etc/surge.pdf; Zurabishvili, 2012; Zurabishvili and Zurabishvili, "Remittances in Provincial Georgia: The Case of Daba Tianeti". In: *Migrant Marginality: A Transnational Perspective*, edited by Philip Kretsedemas, Jorge Capetillo-Ponce, Glenn Jacobs. Routledge, 2013; Gugushvili, 2013.

შინამეურნეობების წილი,[105] რაც თავის მხრივ, ქვეყანაში ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების მიმღებთა შორის ნაკლებად არის წარმოდგენილი ყველაზე ღარიბი მოსახლეობა; ამიტომ გზავნილების ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი შესაძლოა იყოს ქვეყანაში შემოსავლების უთანაბრობის ზრდის ხელშეწყობა.[106]ფულად გზავნილთა კიდევ ერთ უარყოფით მხარეს მათი მოკლევადიანი ეფექტი წარმოადგენს. ვინაიდან შინამეურნეობების მიერ მიღებულ ფულად გზავნილთა უმეტესი ნაწილი ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იხარჯება, მას ძალიან მოკლე დროში შეუძლია იქონიოს საგრძნობი გავლენა ცხოვრების ხარისხზე, მაგრამ ეს პროცესი არ არის მდგრადი. თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანი დაკარგავს სამსახურს, ან სხვა მიზეზის გამო შეაჩერებს ფულადი გზავნილების გადმორიცხვას, მიმღები ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შესაძლებელია საკმაოდ მალევე დაუბრუნდეს ემიგრაციამდელ დონეს. [107] როგორც არსებული კვლევებიდან ჩანს, საქართველოში ფულადი გზავნილების პროდუქტიულ საქმიანობაში დაბანდება ძალიან იშვიათად ხდება. [108] ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ერთი მხრივ, დაბრუნებული მიგრანტების და ფულადი გზავნილების მიმღები პირების მიერ ბიზნესისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ნაკლებობით, ხოლო, მეორე მხრივ - ემიგრანტთა მშობლიურ თემებში ინვესტირების შეზღუდული შესაძლებლობებით.[109]

მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით, ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს - განსაკუთრებით სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებში. [110] საქართველოსთვის ფულადი გზავნილების, როგორც უცხოური ვალუტის შემოდინების რეგულარული წყაროს, მნიშვნელობა 2014 წელს კიდევ უფრო ცხადი გახდა. 2014 წელს რუსეთიდან და უკრაინიდან განხორციელებული გადმორიცხვები წინა წელთან შედარებთ შესაბამისად 12% და 32%-ით შემცირდა. ამ გარემოებამ, საგარეო ვაჭრობის დაღმავალ ტენდენციასთან ერთად, განსაკუთრებით კი, რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ლარის მცურავ გაცვლით კურსზე: 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მარტამდე ლარი 30%-მდე გაუფასურდა.

ფულადი გზავნილების თვალსაჩინო დადებით ეფექტს წარმოადგენს ადგილობრივი მოხმარების დონის შენარჩუნება, საცალო ვაჭრობის, უძრავი ქონებისა და სამშენებლო სექტორების ზრდის ხელშეწყობა. ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წევრების განათლების დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, ფულად გზავნილებს გააჩნია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ზოგადად, კვალიფიციური და ჯანმრთელი მოსახლეობა, კერძოდ კი, მუშახელი ეკონომიკური ზრდის არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

ფულადი გზავნილების ზეგავლენა ემიგრანტების მშობლიურ საზოგადოებებში შესაძლებელია ე.წ. დამოკიდებულების კულტურის ჩამოყალიბებაშიც გამოვლინდეს. ასეთ დროს გზავნილების მიმღები ოჯახების წევრები თავს არიდებენ ნაკლებად მიმზიდველი ან/და დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას და მათთვის სასურველი სამუშაოს

[105] EBRD-ის 2007 წლის კვლევის თანახმად, ასეთი რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და გურია.

[106] ასევე იხილეთ: Gugushvili, 2013, Badurashvili and Nadareishvili, 2012, Social Impact of Emigration and Rural-Urban Migration in Central and Eastern Europe. Final Country Report, Georgia. Gesellschaft für Versicherungswissenschaft und -gestaltung e.V

[107] Gugushvili, 2013.

[108] EBRD, 2007; Zurabishvili and Zurabishvili, 2013; Gugushvili, 2013; Badurashvili and Nadareishvili, 2012.

[109] IOM, 2009, Tianeti Household Census 2008 and Tianeti Emigrants to Greece 2008, http://iom.ge/1/tianeti-household-census-2008-tianeti-emigrants-greece-2008-march-october-2009.

[110] საქსტატის თანახმად, საქართველოს სავაჭრო დეფიციტი 2014 წელს 5,733 მილიონი აშშ დოლარი იყო.

მოძიებამდე ხანგრძლივი პერიოდებით უმუშევრობას ამჯობინებენ. ამდენად, ფულადმა გზავნილებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს გზავნილების მიმღები ოჯახების წევრთა შრომით ბაზარზე პასიურობის ზრდას. თუმცა, კვლევების მიხედვით, საქართველოში მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ შეიმჩნევა იმ ოჯახების წევრების დასაქმების დონეებს შორის, ვინც იღებს და არ იღებს ფულად გზავნილებს.[111]

იმიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენა

2010-2014 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე წელიწადში საშუალოდ 4,200 შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა. ბოლო 5 წლის მანძილზე გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების საერთო რაოდენობა 21,000-ზე ოდნავ მეტია. მათ შორის 76% (16,084) პირველადი განაცხადების საფუძველზე იქნა გაცემული, ხოლო 24%-ის შემთხვევაში მოხდა ბინადრობის ნებართვის გაგრძელება. საინტერესოა, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვების 83% მამაკაცებზე გაიცა. ასეთი გენდერული დისბალანსი შესაძლებელია კონკრეტულ სამუშაოებზე გენდერულად განპირობებული უფრო მაღალი მოთხოვნით აიხსნას. მაგალითად, არაოფიციალური წყაროების თანახმად, ჩინელ და თურქ შრომით იმიგრანტთა უმრავლესობა - რომელთაგან, 79% და 96% მამაკაცია - დასაქმებულია მასშტაბურ სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომლებსაც ჩინური და თურქული კომპანიები ახორციელებენ. შრომითი ბინადრობის ნებართვაზე განაცხადების შემომტან სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემთხვევაშიც მსგავსი გენდერული განაწილება გვხვდება (იხ. ცხრილი 43).

ცხრილი 43: 2010-2014 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვები, მოქალაქეობის ქვეყნების პირველი ხუთეულის მიხედვით

მოქალაქეობა	ქალები	ქალების წილი	მამაკაცები	მამაკაცების წილი	სულ
ჩინეთი	1,348	21%	5,119	79%	6,467
ირანი	351	16%	1,871	84%	2,222
თურქეთი	204	4%	4,414	96%	4,618
ინდოეთი	164	8%	1,992	92%	2,156
ეგვიპტე	88	10%	754	90%	842

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა საქართველოში მყოფი შრომითი იმიგრანტების მხოლოდ მცირე ნაწილს ასახავს, ვინაიდან საქართველოში წლების მანძილზე (2014 წლის 1 სექტემბრამდე) შედარებით ლიბერალური სავიზო პოლიტიკა მოქმედებდა,[112] როდესაც 100-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო შემოსულიყო, ეცხოვრა და ემუშავა ქვეყანაში საიმიგრაციო ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მიღების გარეშე. შესაბამისად, რთულია ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვროს უცხოური შრომითი ძალის მოცულობა და მისი დასაქმების სექტორები; შრომითი იმიგრანტების რაოდენობისა და ადგილობრივ შრომის ბაზარზე მათი ზეგავლენის დასადგენად აუცილებელია სპეციალური კვლევის ჩატარება. მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, სავარაუდოდ, ნათელი გახდება როგორია შრომის ბაზარზე იმიგრაციის ზეგავლენა.[113]

[111] Tchaidze and Torosyan, 2010. Development on the Move: Measuring and Optimising Migration's Economic and Social Impacts in Georgia. CRRC & ISET .

[112] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონი (2005 წ.).

[113] კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს 2016 წელს.

საქართველოში იმიგრანტები არა მხოლოდ სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოებს ასრულებენ, არამედ თავადაც ქმნიან სამუშაო ადგილებს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზები გვაწვდის ინფორმაციას, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაარსებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის, [114] ისე მათ მიერ გადახდილი გადასახადის ოდენობის შესახებ.

2010-2014 წლებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული იყო 26,633 ინდივიდუალური მეწარმე, შპს და უცხოური იურიდიული პირის ფილიალი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი მოქმედია: ზოგი მოიხსნა რეგისტრაციიდან, ზოგი კი რჩება მონაცემთა ბაზაში, მაგრამ შესაძლოა არაფერს აწარმოებდეს. 2015 წლის 1 ივნისისთვის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა აღრიცხა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რეგისტრირებული 14,954 იურიდიული სუბიექტი და 3,911 იურიდიული სუბიექტი რომელსაც უცხოელი თანადამფუძნებლები ჰყავს. იმ კომპანიების ხვედრითი წილი, რომელთა დამფუძნებლები ან თანადამფუძნებლები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, საქართველოში რეგისტრირებული ყველა კომპანიის მხოლოდ 3,2%-ს შეადგენდა.[115]

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაარსებულ მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა შესაძლებელია ასევე დადგენილ იქნას საქართველოში გადასახადების გადამხდელ იურიდიულ პირთა რაოდენობის მიხედვით. ეს რაოდენობა თითქმის გაორმაგდა 2010 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში - 2,343-დან 4,366-მდე. თუმცა, ის მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ რეგისტრირებულ იურიდიულ პირთა რაოდენობა. ამ ორგანიზაციების მიერ გადახდილი გადასახადის ჯამური რაოდენობა[116] სტაბილურად იზრდება, როგორც აბსოლუტური თვალსაზრისით, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით. ეს უკანასკნელი 7,6%-დან (2010 წ.) 10,8%-მდე (2014 წ.) გაიზარდა.[117]

როგორც გადახდილი გადასახადებიდან ჩანს, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეები კაპიტალს ძირითადად შემდეგ სექტორებში აბანდებენ: საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მათ შორის ავტომობილებით ვაჭრობა, საკვები პროდუქტების წარმოება და სოფლის მეურნეობა, სასტუმროები და რესტორნები, მშენებლობა და უძრავი ქონება, ტრანსპორტი, ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება.[118]

[114] უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რეგისტრირებულ საწარმოთა ტიპებისა და რაოდენობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ პროფილის იმიგრანტთა მიმოხილვის ნაწილი.

[115] სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=235&lang=geo

[116] ეს თანხები მოიცავს თხუთმეტივე სახის გადასახადს, ასევე კომპანიებზე დაკისრებულ ჯარიმებს.

[117] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, http://mof.gov.ge/4560

[118] ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური.

ცხრილი 44: უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებულ/თანადაფუძნებულ იურიდიულ პირთა მიერ გადახდილი გადასახადები (2010-2014 წწ., ათასი ლარი)

საკუთრების ტიპი/სამართლებრივი სტატუსი	პირი	გადახდილი გადასახადი	პირი	გადახდილი გადასახადი	პირი	გადახდილი გადასახადი	პირი	გადახდილი გადასახადი	პირი	გადახდილი გადასახადი
	2010		2011		2012		2013		2014	
ამხანაგობა	17	60.36	15	118.3	16	175.5	19	858.8	21	1,383.8
არაკომერციული ორგანიზაცია	89	1,783.6	76	2,960.5	75	3,512.9	69	3,308.9	67	3,727.4
სააქციო საზოგადოება	13	878.5	13	972.6	11	804.1	10	1,043.6	9	1,307.1
უცხოური საწარმო, უცხოური ორგანიზაცია	10	710.9	11	173,9	9	118,3	12	308,4	18	1.617,0
უცხოური კომპანიის ფილიალი/მუდმივი წარმომადგენლობა	398	222,450.6	458	249,195.2	493	313,112.6	507	282,427.9	530	353,455.5
შეზღუდული პასუხიმგებლობის კომპანია	1,808	314,096.2	1,957	384,621.6	2,361	467,333.5	3,380	546,358.9	3,716	628,465.2
სხვა	8	670.3	9	928.3	5	765.5	7	675.3	5	737.4
სულ	**2,343**	**540,650.6**	**2,539**	**638,970.4**	**2,970**	**785,822.3**	**4,004**	**834,981.9**	**4,366**	**990,693.5**

წყარო: *ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური*

სავარაუდოდ, უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქე, ვინც საქართველოში ბიზნესს აფუძნებს, ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად არ რჩება და დისტანციურად უძღვება თავის კომპანიას. ამავდროულად, უპრიანია ვივარაუდოთ, რომ ამ ჯგუფის გარკვეული ნაწილი მართლაც ცხოვრობს თავისი ბიზნესის უშუალო ფუნქციონირების ადგილას. ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში 11,231 სახლი ან ბინა, 6,848 სასოფლო-სამეურნეო და 5,322 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა საქართველოს საჯარო რეესტრში. შესყიდვების/რეგისტრაციების უმეტესი წილი რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და სომხეთის მოქალაქეების მიერ განხორციელდა; ასევე იმ ქვეყნების მოქალაქეების მიერ, საიდანაც ყველაზე ხშირად ჩამოდიან იმიგრანტები საქართველოში.[119]

არსებული მონაცემები შრომის ბაზარზე ამ ინვესტიციების ზეგავლენის შესახებ თამამი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის კომპანიების მიერ მიწოდებულ დეკლარაციებზე დაყრდნობით, ეკონომიკის სამრეწველო და სამშენებლო სექტორებზე ზოგად დადებით ეფექტზე მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ.[120] ბოლო 5 წლის მანძილზე უცხოური კომპანიების ხვედრითი წილი სამშენებლო სექტორის წლიურ ბრუნვაში მე-9 დიაგრამაშია წარმოდგენილი.

სამშენებლო სექტორში 2011-2012 წლებში საერთო წლიური ბრუნვა თითქმის გაორმაგდა წინა წლებთან შედარებით,[121] რაშიც თავისი წვლილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებულმა კომპანიებმაც შეიტანეს. 2013 წელს სამშენებლო სექტორის ბრუნვა 1,2 მილიარდი ლარით შემცირდა, და მცირედით გაიზარდა 2014 წელს. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებული კომპანიების ხვედრითი წილი საერთო წლიურ ბრუნვაში გასამმაგდა და 11%-დან (2010 წ.) 34,5%-ს (2014 წ.) მიაღწია (იხ. დიაგრამა 9).

[119] უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში რეგისტრირებული საკუთრების ტიპების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ პროფილის იმიგრანტთა მიმოხილვის ნაწილი.

[120] საქსტატი, http://geostat.ge/index.php?action=page&&p_id=284&lang=eng

[121] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/?action=page&p_id=466&lang=geo

დიაგრამა 9: სამშენებლო სექტორში უცხოურ იურიდიულ პირთა წილი საერთო ბრუნვაში, წლების მიხედვით (მილიონი ლარი)



წყარო: საქსტატი

დიასპორის ჩართულობა

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაცემების თანახმად, საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული დიასპორის 300-ზე მეტი ორგანიზაცია არსებობს.[122] სახელმწიფო მინისტრის აპარატი არ მიიჩნევს, რომ ეს სია ამომწურავია, თუმცა იგი მეტწილად ასახავს რეალობას და მოიცავს მხოლოდ იმ აქტიურ დიასპორულ ორგანიზაციებს, რომლებსაც რეგულარული კავშირები აქვთ დამყარებული დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სია არასრულია, იგი მაინც გარკვეულწილად გვიჩვენებს, თუ რომელ ქვეყნებში არიან ქართველი ემიგრანტები უფრო თვითორგანიზებულნი, რომელი დიასპორული საზოგადოებებია უფრო აქტიური ან/და სურვილი აქვთ ითანამშრომლონ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან. თუმცა, დიასპორული ორგანიზაციების დიდი რაოდენობა შესაძლებელია მიუთითებდეს ამ ქვეყნებში მცხოვრები ქართული საზოგადოებების ფრაგმენტაციაზეც.

დიაგრამა 10: ქართული დიასპორული ორგანიზაციების რაოდენობა საზღვარგარეთ



წყარო: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

[122] დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოყენებული ტერმინი „დიასპორა“ აერთიანებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მიგრანტთა ყველა თემს, მათ შორის, ისტორიული დიასპორის წევრებს, დროებით მოკლევადიან ემიგრანტებს, გრძელვადიან ემიგრანტებს, ექსპატრიანტებსა და იმ ქართველებს, რომლებიც უკვე გახდნენ ემიგრაციის ქვეყნის მოქალაქეები.

მაგალითად, უკრაინაში 43 დიასპორული ორგანიზაციაა, მაშინ, როდესაც რუსეთში, სადაც უფრო დიდია საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მხოლოდ 42 ორგანიზაციაა გამოვლენილი (იხ. დიაგრამა 10). მეტწილად, ეს საზოგადოებრივ ან/და რელიგიურ საფუძვლებზე შექმნილი გაერთიანებებია, რომელთა მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართულ საზოგადოებებში შეინარჩუნონ ქართული ენა და კულტურა. ზოგი, საზღვარგარეთ უკვე კარგად დამკვიდრებული ორგანიზაცია, ქართველი სტუდენტებისთვის სტიპენდიების დაწესებით ან სხვა ფორმით ეხმარება ადგილობრივ თემებს, როგორც ემიგრაციის ქვეყნებში, ისე საქართველოში. კრიზისულ პერიოდებში (მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და 2015 წლის თბილისის წყალდიდობის დროს) ბევრი დიასპორული გაერთიანება დაზარალებულებს საკვებით ან/და ფინანსურად დაეხმარა.[123]

ადვილი დასადგენი არ არის ქართული დიასპორული ჯგუფების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. რამდენიმე კვლევის თანახმად, დროებითი მიგრანტები, რომლებიც დანაზოგების გაკეთებას ახერხებენ, ინვესტიციებს მცირე საცალო ბიზნესში, ან მომსახურების ისეთ სფეროებში აკეთებენ, როგორიცაა სილამაზის სალონები.[124] ასეთი მიკრო და მცირე ბიზნესი ემიგრანტთა ან დაბრუნებულთა ოჯახებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს, თუმცა, ემიგრანტების უმრავლესობას არ გააჩნია დიდი ფინანსური კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა და მათი ბიზნესი იშვიათად თუ გარდაიქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე მასშტაბურ საწარმოდ. ამავდროულად, არსებობს დიასპორის მიერ სოფლის მეურნეობასა და კვების სექტორში ინვესტირების მთელი რიგი საკმაოდ ცნობილი შემთხვევები. ქართულ-თურქულმა კომპანიამ „ჯეოლაივი“, [125] რომელიც 2009 წელს დაარსდა, საქართველოს ოთხ რეგიონში გააშენა ზეთისხილის პლანტაციები და გეგმავს გახდეს ზეთისხილის ძირითადი მიმწოდებელი როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ანალოგიურად, მეფრინველეობის კომპანია „ბიუ-ბიუ“[126] და მისი შვილობილი კომპანია „პომონო“ ქართულ-რუსული დიასპორის წარმომადგენელმა 2011-2013 წლებში დააარსა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, ეს ინვესტიცია არა მხოლოდ წარმატებული ბიზნესის მაგალითს წარმოადგენს, არამედ ადგილობრივი საკვები პროდუქტების ბაზარზე თამაშის წესებიც შეცვალა. [127] დიდი ალბათობით, დიასპორის წარმატებული ინვესტიციების უფრო მეტი შემთხვევა არსებობს, თუმცა მათი მონიტორინგის და აღრიცხვის მექანიზმი შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ჯერ არ შეუმუშავებიათ.

საქართველოში დიასპორისა და ემიგრანტთა ჯგუფების ჩართულობის კიდევ ერთი ინდიკატორია საქართველოს ყოფილი მოქალაქეებისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის, თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობისა და ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა, რომელიც, როგორც წესი, ძირითადად საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე გაიცემა. 2010-2014 წლების განმავლობაში, სულ 6,760 მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცა საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე.

---

[123] დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ICMPD, 2015, *Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece, and Turkey*.

[124] ICMPD, 2015, *Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece, and Turkey*.

[125] „ჯეოლაივი“, http://geolive.ge/

[126] შპს „ჩირინა“, http://bio-bio.ge/?page=home

[127] USAID, 2014, *Georgian Agricultural Competitiveness Case Studies*, prepared by ISET of Tbilisi State University.

მინიჭებული ორმაგი მოქალაქეობებისა და მუდმივი ბინადრობის ნებართვების 80% შრომისუნარიან, 18-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეებზე გაიცა. ორივე ჯგუფში უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ. თუმცა, არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ყველა ყოფილი მოქალაქე, ვინც საქართველოში შეუზღუდავი ბინადრობის უფლება მიიღო, დაბრუნებული მიგრანტია, ვინაიდან ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეობასაც ინარჩუნებენ. თუმცა, ეს ნათელი ნიშანია იმისა, რომ ეს ადამიანები გარკვეულწილად რეგულარულ კავშირს ინარჩუნებენ თავის სამშობლოსთან.

დიაგრამა 11: საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე 2010-2014 წლებში გაცემული მუდმივი ბინადრობის ნებართვები და მინიჭებული ორმაგი მოქალაქეობა



წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

2012-2014 წლებში, თანამემამულის სტატუსი 595 პირს მიენიჭა, მათ შორის აზერბაიჯანის 277, ირანის 117 და რუსეთის 109 მოქალაქეს. თანამემამულის სტატუსი ენიჭებათ საქართველოს მოქალაქეებს, ვინც ხანგრძლივად ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართული წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან/და პირებს, ვისი მშობლიური ენაც ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. თანამემამულის სტატუსის მქონე მოქალაქეებს უფლება აქვთ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით მიიღონ მონაწილეობა, ვიზის გარეშე შემოვიდნენ და დარჩნენ საქართველოში 30 დღის განმავლობაში, მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება ზოგადი და უმაღლესი განათლების მისაღებად, გახდნენ საჯარო მოხელეები და მონაწილეობა მიიღონ დიასპორის წევრებისთვის განკუთვნილ სახელმწიფო პროგრამებში.

უნარ-ჩვევების განვითარება და ცოდნის ქსელები

ISET-ისა და CRRC-ის მიერ ჩატარებული კვლევის[128] თანახმად, ქართველ ემიგრანტთა მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლება და ათვისებული უნარ-ჩვევები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი ემიგრაციამდე - სოფელში თუ ქალაქში. მეტად მოსალოდნელია, რომ ქალაქებიდან, კერძოდ კი, დედაქალაქიდან, წასული ემიგრანტები უფრო აითვისებენ ახალ უნარ-ჩვევებს, ვიდრე ემიგრანტები სოფლებიდან. განსხვავდება ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ ათვისებული უნარ-ჩვევებიც - პირები, რომლებიც დედაქალაქიდან წავიდნენ ემიგრაციაში უფრო ხშირად იღებენ უმაღლეს განათლებას და იძენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ხოლო ემიგრანტები საქართველოს სხვა

[128] *Development on the Move*, 2010. Report, Global Development Network, ISET & CRRC.

ქალაქებიდან და სოფლებიდან - პროფესიულ უნარ-ჩვევებს ანიჭებენ უპირატესობას. ეს ტენდენცია შეიძლება ემიგრანტთა განსხვავებული მახასიათებლებით და განათლების დონით აიხსნას, ისევე როგორც იმ გარემოებით, რომ ქალაქის მოსახლეობას მეტი შესაძლებლობა აქვს და სოფლიდან წასულ ემიგრანტებთან შედარებით, უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია.[129] ასევე, აღსანიშნავია, რომ დაბრუნებულ მიგრანტთა ოჯახების 40%-ის (139 ოჯახი 347-დან) აზრით, ემიგრაციის შედეგად გაუმჯობესდა მათი უნარ-ჩვევები ან/და განათლების დონე.

ცხრილი 45: ემიგრაციის დროს შეძენილი უნარ-ჩვევები და/ან განათლება, დასახლებული ტიპის მიხედვით

განათლება/ უნარების სახეობა	**სოფელი**	**ქალაქი (თბილისის ჩათვლით)**	**თბილისი**
პროფესიული უნარ-ჩვევები	10%	25%	25%
უმაღლესი განათლება	1%	8%	27%
დაწყებითი და საშუალო განათლება	2%	6%	4%

წყარო: ISET/CRRC, 2010, ICMPD, 2015 ანგარიშის მიხედვით

საქართველოდან მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ემიგრაცია იწვევს დეკვალიფიკაციას და ხელს უშლის მათი პროფესიული უნარ-ჩვევების შენარჩუნებას და განვითარებას. უმეტეს შემთხვევაში, ისინი არალეგალური სტატუსის გამო ვერ ახერხებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურებში დასაქმებას. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მიგრანტებს ხშირად უწევთ მათი კვალიფიკაციის შეუსაბამო სამუშაოს შესრულება, რაც იწვევს დეკვალიფიკაციას, ან უნარ-ჩვევების ცვლილებებს (იხ. ცხრილი 46).

ცხრილი 46: საზღვარგარეთ დასაქმების სახეობები, განათლების დონის მიხედვით

დებულება	**უმაღლესი განათლება**	**საშუალო განათლება**	**დაწყებითი განათლება**
ვმუშაობდი ჩემი განათლების დონესთან შედარებით დაბალ სამუშაოზე	69%	40%	13%
ჩემი სამუშაო სრულად შეესაბამებოდა ჩემი განათლების დონეს	23%	54%	83%
ჩემი სამუშაო, როგორც წესი, მოითხოვდა განათლების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე მე გამაჩნდა.	2%	1%	3%

წყარო: ETF, 2013, ICMPD, 2015 ანგარიშის მიხედვით

დეკვალიფიკაცია ცალსახად უარყოფითი მოვლენაა და კვალიფიციური მუშახელის დაკარგვას იწვევს, თუმცა უნარ-ჩვევების ცვლილებამ შესაძლებელია სამუშაო ძალა შრომის ბაზარზე უფრო მოთხოვნადი სფეროებისკენ მიმართოს და ამით შეამციროს სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული დისბალანსი, რაც ქართულ შრომით ბაზარს ახასიათებს. თუმცა, აქვს თუ არა ადგილი სამუშაო ძალის გადამისამართებას უფრო მოთხოვნადი პროფესიებისკენ, ჯერ კიდევ შესასწავლი და დასასაბუთებელია. დაბრუნების შემდეგ ყველა მიგრანტი ვერ ახერხებს გამოიყენოს საზღვარგარეთ შეძენილი უნარ-ჩვევები და ყველა პროფესიაც არ არის მოთხოვნადი ქართულ შრომით ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნებული მიგრანტების დიდი ნაწილის აზრით, მათი ახალი უნარ-ჩვევები ღირებულია და შეესაბამება ქართული შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, ბევრს უჭირს იპოვოს სასურველი სამსახური და

[129] მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, 2015.

რეინტეგრაცია მოახდინოს ქართულ ბაზარზე და საზოგადოებაში. [130] მიუხედავად ზემოთქმულისა, დაბრუნებული მიგრანტები, რომლებიც ახერხებენ სამშობლოში დასაქმებას, უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე ისინი, ვისაც არ ჰქონიათ მიგრაციული გამოცდილება, [131] რაც შესაძლებელია მიუთითებდეს ინტელექტის შემოდინებასა და შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებაზე.[132]

უცხო ქვეყნის გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ მოქალაქეთა იმიგრაცია, ასევე ცოდნისა და ინოვაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რამაც შესაძლებელია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ შრომით ბაზარზე უნარების ჩამოყალიბების პროცესზე. ამ ეტაპზე, არ არსებობს მონაცემები საქართველოში კვალიფიციური იმიგრაციის ოდენობისა და მიზნების შესახებ, რაც შესაძლებელს გახდიდა პოტენციური ზეგავლენის სფეროების შეფასებას. ისევე როგორც დიასპორის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ინვესტიციების შემთხვევაში, ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე გახმაურებული შემთხვევის შესახებ არსებობს, როდესაც მოხდა იმიგრანტთა მიერ პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და დანერგვა.[133]

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაცია, [134] ისევე როგორც ქართველ სტუდენტთა ხელშეწყობა, რომ საზღვარგარეთ მიიღონ განათლება და გამოცდილება, საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2007 წლიდან, საქართველოს მთავრობა ახალგაზრდა პროფესიონალებს და ახალ კურსდამთავრებულებს უფინანსებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებას. მხოლოდ ბოლო 2 წლის განმავლობაში, 133 სტუდენტმა მიიღო დაფინანსება (იხ. ცხრილი 47). გაცემული სტიპენდიების უმრავლესობა მაგისტრატურის დონეზე სწავლებას აფინანსებს. საინტერესოა, რომ სტუდენტთა მიერ არჩეული სასწავლო სფეროებიდან სოციალური მეცნიერებები აირჩია მთავრობის მიერ დაფინანსებული სტუდენტების 37%-მა, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 14%-მა და საბუნებისმეტყველო და იურდიული მეცნიერებები - 11-11%-მა. 133-დან მხოლოდ თერთმეტმა სტუდენტმა აირჩია საინჟინრო ფაკულტეტები და სამმა - აგრარული მიმართულება.

ცხრილი 47: სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ დაფინანსებული სწავლება

დანიშნულების ქვეყანა/რეგიონი	**2014**	**2015**	**განათლების დონე**			
			ბაკალავრი	**მაგისტრი**	**დოქტორი**	**პროფესიული გადამზადება**
აშშ	32	13	11	26	6	2
კანადა		1				1
ევროპა	42	42	5	67	11	1
რუსეთი	1		1			
ჩინეთი	2			2		
სულ	**77**	**56**	17	95	17	4

წყარო: *საერთაშორისო განათლების ცენტრი*

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი პროგრამა, რომელსაც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახორციელებს, ქართულ დიასპორასა და ემიგრანტებს ეხმარება, შეინარჩუნონ კავშირები სამშობლოსთან და წვლილი შეიტანონ

[130] Labadze and Tukhashvili 2013, CARIM East.

[131] ISET & CRRC, 2010 წ.

[132] მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, 2015 წ.

[133] როგორიც არის, მაგალითად, კახეთის რეგიონში ფერმერთა იმიგრაცია სამხრეთ აფრიკიდან (ბურები).

[134] საქართველოს მთავრობის მიზანი ბოლონიის პროცესის ფარგლებში საქართველოს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის 20%-ამდე გაზრდაა (როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი).

საქართველოში მეცნიერების განვითარებაში. ფონდი საქართველოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერების და საქართველოდან წასულ მეცნიერ ემიგრანტთა ერთობლივ კვლევით პროექტებს აფინანსებს. 2011 წელს პროგრამის დაწყების დღიდან შეტანილი 167 განაცხადიდან 57 ერთობლივი კვლევითი პროექტი დაფინანსდა.

სახელმწიფო სტიპენდიების გარდა, არსებობს სხვა სასტიპენდიო პროგრამებიც, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებაში ეხმარება. ამ პროგრამებიდან ნაწილი უცხო ქვეყნების სახელმწიფო პროგრამებია (მაგალითად, Edmund S. Muskie, Chevening, DAAD, ჰოლანდიის მთავრობის სტიპენდია და სხვები), ნაწილი ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამების (TEMPUS, ERASMUS) ფარგლებშია დაფინანსებული, ნაწილი კი, საქართველოს ან უცხოური უნივერსიტეტების გაცვლით და/ან სასტიპენდიო პროგრამებს წარმოადგენს. ამ პროგრამების ბენეფიციარები დაბრუნების შემდეგ ხშირად ადვილად საქმდებიან და მოთხოვნად კადრებად ითვლებიან. ზოგ მათგანს ეკავა და დღესაც უჭირავს მაღალი თანამდებობები საქართველოს მთავრობაში, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში. ეს ყოველივე კი, ხელს უწყობს ცოდნის ქსელების შექმნასა და ინტელექტის შემოდინებას.[135]

2004-2014 წლებში 9,000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა საქართველოს უნივერსიტეტებში. სტუდენტთა თითქმის ერთი მესამედი აზერბაიჯანიდან არის, მათ მოჰყვებიან ინდოელი, ნიგერიელი, რუსი, ერაყელი და თურქი სტუდენტები. აზერბაიჯანელ და რუს სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლოა, იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები ან წარმომავლობით საქართველოდან და სარგებლობდნენ საქართველოს მთავრობის მიერ თანამემამულის სტატუსით მინიჭებული პრივილეგიებით;[136] თუმცა, სხვა ქვეყნებიდან განათლების მიღების მიზნით ჩამოსულ იმიგრანტებს საქართველოს განათლების სისტემის სხვა ასპექტები იზიდავს (მეტი ინფორმაცია საქართველოში განათლების მიღების მიზნით ჩამოსულ იმიგრანტთა შესახებ იხილეთ წინამდებარე პროფილის იმიგრაციის თავში). განათლების მიღების მიზნით ჩამოსულ იმიგრანტთა საქართველოში ყოფნას შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს, როგორც განათლების სისტემაზე, ისე ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. მაგალითად, უცხოელ სტუდენტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ განათლების ხარისხის გაუმჯობესებას იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ისინი სწავლობენ ან/და მიწვეულნი არიან სასწავლებლად; უცხოელი სტუდენტების არსებობა განაპირობებს იმ უნივერსიტეტების შემოსავლის ზრდას, სადაც ისინი სწავლობენ; ქართველი სტუდენტებისთვის ეს ნიშნავს უცხოენოვან პროგრამებზე გაზრდილ წვდომას და ინტერნაციონალურ გარემოში საქმიანობის გამოცდილებას, ქართული საზოგადოებისთვის კი - განსხვავებული კულტურების გაცნობას, საზოგადოების მრავალფეროვნებას და მასში ტოლერანტობის დონის ამაღლებას. იმის დასადგენად, თუ რა ხელშესახები გავლენა აქვს უცხოელ სტუდენტთა საქართველოში ყოფნას, დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

საქართველოს უნივერსიტეტებში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა, ისევე როგორც საერთაშორისო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა წილი, შესაძლებელია საქართველოს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთ ინდიკატორად განვიხილოთ. თუმცა, საქართველოს უნივერსიტეტებში მონაცემები ასეთ პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რაოდენობის შესახებ ჯერჯერობით ადვილად ხელმისაწვდომი არ არის.

[135] მაგალითად, https://www.irex.org/news-impact/search?project=81

[136] თანამემამულის სტატუსის მქონე პირებს წვდომა აქვთ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

B3. სოციალური ასპექტი - ინტეგრაცია

დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაცია

საქართველოს 4 რეგიონში - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და თელავი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაარსებული მობილურობის ცენტრები ფუნქციონირებს. მობილურობის ცენტრების პროექტის ბიუჯეტი 375,000 ევროს შეადგენს და ფინანსდება ევროკავშირის პროგრამით - „მეტი მეტისთვის“ (More for More). 2016 წლის დეკემბერში პროექტის დასრულების შემდეგ, მობილურობის ცენტრის ყველა ფუნქციასა და მათ მიერ გაწეული დახმარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო გახდება.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მობილურობის ცენტრები მიგრანტებს დახმარებას უწევენ დაბრუნების პროცესში, ტრანსპორტირებაში, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფაში, ასევე სამედიცინო დახმარების მიღებაში (კონსულტაცია და მომსახურება), პროფესიულ მომზადება/გადამზადებაში (მათ შორის, კონსულტაცია, დაფინანსება და დასაქმების ხელშეწყობა) და სამეწარმეო საქმიანობაში (მათ შორის, კონსულტაცია, ტრენინგები, ბიზნეს გეგმის შემუშავება და გრანტები). მხოლოდ 2014 წელს, მობილურობის ცენტრებმა 2,000 კონსულტაცია განახორციელეს, და 600-ზე მეტმა დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო მიზნობრივი დახმარება (იხ. ცხრილი 48). დაბრუნებულ მიგრანტთა უმრავლესობა, ვინც მობილურობის ცენტრებს მიმართა, იყვნენ საბერძნეთიდან, გერმანიიდან და რუსეთიდან.

ცხრილი 48: დაბრუნებული მიგრანტებისთვის მობილურობის ცენტრების მიერ 2014 წელს გაწეული დახმარება

დახმარების ფორმა	რაოდენობა
კონსულტაცია	2,213
პირველადი და ძირითადი სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის ჩათვლით	77
დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა	82
პროფესიული მომზადებისა და გადამზადების დაფინანსება	88
მიკრობიზნესის პროექტების დაფინანსება	219
დასაქმების ხელშეწყობა	42
თვითდასაქმების ხელშეწყობა	92
ანაზღაურებადი სტაჟირება	10
იურიდიული დახმარება	3

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 400,000 ლარი გამოყო „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში. პროგრამას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს. მის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებზე

14 თემატური მიმართულებით მიზნობრივი გრანტები გაიცემა;[137] საგრანტო პროგრამა ხელს უწყობს დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციასა და ამავდროულად, აძლიერებს არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობებს რეინტეგრაციის სფეროში.

2014 წელს, მობილურობის ცენტრის მომსახურებით მსურველთა შორის უმრავლესობა საბერძნეთიდან დაბრუნებული მიგრანტი იყო. დაბრუნებულ მიგრანტთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა გერმანიიდან, რუსეთიდან, ბელგიიდან და უკრაინიდანაც (იხ. ცხრილი 49).

ცხრილი 49: მობილურობის ცენტრებში დარეგისტრირებული დაბრუნებული მოქალაქეები, 2014 წ.

ყოფილი ბინადრობის ქვეყანა	რეგისტრირებულია როგორც დაბრუნებული მოქალაქე	პროექტის ბენეფიციარი	მამაკაცი	ქალი	ასაკობრივი ჯგუფი			
					<25	26-40	41-65	65<
საბერძნეთი	340	143	97	46	7	56	76	4
გერმანია	96	35	17	18	10	19	6	0
რუსეთი	62	9	2	7	1	0	8	0
ბელგია	48	16	6	10	2	8	4	2
უკრაინა	37	14	7	7	2	5	6	1
კვიპროსი	35	15	7	8	2	5	8	0
საფრანგეთი	32	11	3	8	1	6	3	1
იტალია	25	5	4	1	0	1	4	0
ესპანეთი	20	8	4	4	0	1	6	1
ნიდერლანდები	20	9	3	6	2	7	0	0
სხვა	133	44	20	24	4	20	17	3
სულ	**848**	**309**	**170**	**139**	**31**	**128**	**138**	**12**

წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

მობილურობის ცენტრებში დარეგისტრირებული დაბრუნებული მიგრანტებიდან შეთავაზებული მომსახურებით 36%-მა ისარგებლა. დანარჩენებმა ან ვერ დააკმაყოფილეს მოთხოვნები, ან სხვა პროგრამებიდან მიიღეს დახმარება. ყველაზე დიდი სხვაობა, რეგისტრირებულ დაბრუნებულ მიგრანტთა და ბენეფიციართა რაოდენობებს შორის რუსეთიდან დაბრუნებულ მიგრანტთა შემთხვევაში შეიმჩნევა. საბერძნეთიდან დაბრუნებულ მიგრანტთა შორის მამაკაცი ბენეფიციარები მნიშვნელოვნად ჭარბობენ ქალებს - როგორც ჩანს, ფინანსურმა კრიზისმა მამაკაცი ემიგრანტები მეტად დააზარალა, ვიდრე ქალები. ბენეფიციართა დაახლოებით 95% 18-დან 65 წლამდე ასაკის შრომისუნარიანი ადამიანები არიან.

მობილურობის ცენტრების კონსულტანტები სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობენ ბენეფიციარებს, მათ შორისაა ზოგადი კონსულტაცია და პროფესიული მომზადება/გადამზადება, სამსახურის მოძიება, დამწყები საწარმოებისთვის გრანტების გამოყოფა, სამედიცინო დახმარება, მათ შორის, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში - დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ანაზღაურებადი სტაჟირება და იურიდიული დახმარება. შეთავაზებული მომსახურებიდან ყველაზე მოთხოვნადი ბიზნესის დაწყების და მართვის შესახებ

[137] თემატური მიმართულებები შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტების დაფინანსება; დროებითი საცხოვრებელი; პროფესიული მომზადებისა და გადამზადების დაფინანსება, ასევე ანაზღაურებადი სტაჟირების ხელშეწყობა; პირველადი სამედიცინო დახმარებითა და ძირითადი მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ჩათვლით; იურიდიული დახმარების ანაზღაურება, ისევე როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ეხმარება საზოგადოების ჩართულობის ზრდასა და ცნობიერების ამაღლებას მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კონსულტაციებია; ასევე დიდია მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე და მცირე ბიზნეს-გრანტებზე (დიაგრამა 12).

დიაგრამა 12: 2014 წელს მობილურობის ცენტრების ყველაზე მოთხოვნადი მომსახურება



წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

უცხოელთა ინტეგრაცია

საქართველოში ამჟამად მოქმედი ნატურალიზაციის პოლიტიკა მოქალაქეობის მინიჭებას ითვალისწინებს. უცხოელებს, რომლებიც საქართველოში 5 წლის მანძილზე უწყვეტად ცხოვრობენ, ასევე საქართველოს მოქალაქეებზე დაქორწინებულ უცხოელებს, რომლებიც მინიმუმ 2 წლის მანძილზე უწყვეტად ცხოვრობენ საქართველოში, უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეობა სტანდარტული პროცედურის გავლით მიიღონ; უცხოელებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს წინაშე, ან ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებიან, შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო გზით მიენიჭოთ (ორმაგი მოქალაქეობა). ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოს მოქალაქეობაზე განაცხადების შემოტანისა და მოქალაქეობის მინიჭების ტენდენციები და მახასიათებლები დეტალურად არის განხილული წინამდებარე მიგრაციის პროფილის იმიგრაციისა და დიასპორის ჩართულობის თავებში. როგორც ამ თავებიდან ჩანს, საქართველოში გრძელვადიანი მიზნებით ჩამოსული იმიგრანტები და საქართველოს ყოფილი მოქალაქეები წარმატებით სარგებლობენ ნატურალიზაციის პოლიტიკით, რათა მოახდინონ ინტეგრაცია ან შეინარჩუნონ კავშირები და ფორმალური ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოსთან.

მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე იმიგრანტებს ისეთივე სოციალური და ეკონომიკური უფლებები აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ, მათ უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო პენსია, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის პაკეტები და სოციალური დახმარება. 2014 წელს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ბენეფიციართა რაოდენობის მკვეთრი შემცირება 2013 წლის სექტემბერში სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შეჩერებით იყო გამოწვეული (იხ. ცხრილი 50). 2014 წელს ძველი დაზღვევის პროგრამა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ ჩაანაცვლა, შედეგად შეიცვალა ბენეფიციართა დათვლის მეთოდოლოგია - 2014 წელს დარეგისტრირებულმა 87 ბენეფიციარმა რეალურად მიიღო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მკურნალობა, ხოლო 2013 წელს აღრიცხულია ყველა დარეგისტრირებული პირის რაოდენობა (528 პირი), თუმცა ყველა მათგანს არ უსარგებლია დაზღვევით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებით.

ცხრილი 50: საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გაწეული სახელმწიფო დახმარება, დახმარების სახეობის და გენდერული გადანაწილების მიხედვით[138]

წელი	პენსია	სოციალური დახმარება	სამედიცინო დაზღვევა
2010	225	86	361
2011	174	92	330
2012	174	110	428
2013	142	103	528
2014	144	121	87

წელი	ქალი	მამაკაცი	სულ
2010	386	160	**546**
2011	332	147	**479**
2012	338	150	**488**
2013	372	256	**628**
2014	174	114	**288**

წყარო: *შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

სავარაუდოდ, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებისთვის განკუთვნილი სოციალურ-ეკონომიკური დახმარების დიდ ნაწილს იღებენ და იყენებენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები - ქართული წარმომავლობის მქონე იმიგრანტები ან დაბრუნებული მიგრანტები და დიასპორის წევრები, რომლებმაც სხვა ქვეყნების მოქალაქეობა მიიღეს და საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლებით სარგებლობენ როგორც საქართველოს ყოფილი მოქალაქეები (საქართველოს ყოფილი მოქალაქეებისთვის მუდმივი ბინადრობის უფლების მინიჭების შესახებ იხილეთ ამ პროფილის დიასპორის ჩართულობისა და იმიგრაციის მიმოხილვის ნაწილებში).

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია

საქართველოში ლტოლვილთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯგუფს ჩეჩნეთიდან ლტოლვილი პირები შეადგენენ. მათმა უმრავლესობამ 1990-იანი წლების ბოლოს, ე.წ. რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, მოითხოვა საქართველოში თავშესაფარი. ჩეჩენ ლტოლვილთა ძირითადი ნაწილი კახეთის რეგიონშია დასახლებული. ამ წლების მანძილზე მათ მოახერხეს ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია. ბოლო 5 წლის მანძილზე, 471 ჩეჩენ ლტოლვილს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა (იხ. დიაგრამა 13), მათ შორის - 251 ქალს და 220 მამაკაცს.

დიაგრამა 13: საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება რუსეთიდან (ჩეჩნეთიდან) ლტოლვილთათვის (2009-2014 წწ.)



წყარო: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

სხვა ეროვნების ლტოლვილი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები საქართველოში ცოტა ხნის წინ შემოვიდნენ[139] და ჯერ არ უსარგებლიათ ნატურალიზაციის პროცესით.

[138] აღსანიშნავია, რომ ეს ციფრები არ წარმოადგენს ადამიანთა რაოდენობას; ერთი პირი შესაძლებელია სარგებლობდეს ყველა სახის დახმარებით.

თუმცა, მათთვის საერთაშორისო მობილობის გამარტივების მიზნით, საქართველო უკვე 2009 წლიდან გასცემს ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტებს. ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი უფლებას აძლევს ლტოლვილის სტატუსის მქონე პირს გაემგზავროს საქართველოდან და დაბრუნდეს უკან; იმოგზაუროს საზღვარგარეთ ნებისმიერ ქვეყანაში გარდა მისი მოქალაქეობის ან მისი ადრინდელი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნისა, ან გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც საფრთხე ექმნებათ პირადად მას და მის ოჯახის წევრებს. 2010-2014 წლებში ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტების უმრავლესობა გაიცა რუსეთისა და ერაყის მოქალაქეობის მქონე ლტოლვილებზე (იხ. ცხრილი 51).

ცხრილი 51. 2010-2014 წლებში გაცემული ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტები

მოქალაქეობა	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
რუსეთი	4	17	11	20	-
ერაყი	-	-	3	14	24
თურქეთი	-	1	-	-	1
აზერბაიჯანი	-	1	-	1	-
ტაჯიკეთი	-	-	1	-	-
სირია	-	-	-	1	-
კოტ-დ'ივუარი	-	-	-	1	-
იორდანია	-	-	-	-	1
სულ	**4**	**19**	**15**	**37**	**26**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ წინა ქვეთავში აღწერილი სახელმწიფო დახმარების პროგრამებით (სოციალური დახმარება და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული სადაზღვევო პაკეტი). 2013 წლიდან ამ პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებსაც. 2013-2014 წლებში ამ პროგრამებით 109 პირმა ისარგებლა.

შიდა მიგრანტების ინტეგრაცია

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა მათთვის სოციალური დახმარების და კერძო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ან „კოლექტიურ ცენტრებში" განსახლების პროგრამებს ახორციელებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების საკუთარი საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე სხვა, არასახელმწიფო დაფინანსების მეშვეობით. 2010-2014 წლებში, შესყიდული იქნა 268 სახლი და ბინა, ძირითადად დედაქალაქის ფარგლებს გარეთ. ამ მიზნით საქართველოს ბიუჯეტიდან გამოიყო 10,5 მილიონი ლარი, ხოლო 633,000 ლარი მობილიზებული იქნა სხვა წყაროებიდან.

2014 წლის ბოლოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული იყო 74,461 ოჯახი (227,733 პირი) ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან და 11,272 ოჯახი (34,920 პირი) ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან (იძულებით გადაადგილებულ პირთა

[139] საქართველოში ჰუმანიტარული და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობისა და წარმოშობის შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ ამ პროფილის A3 თავში - საერთაშორისო დაცვა.

რაოდენობისა და განსახლების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ პროფილის შიდა მიგრაციის თავი. აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოახერხა ინტეგრაცია და საკუთარი საცხოვრისის სახელმწიფოს დახმარების გარეშე შეძენა. ამ პირების და ოჯახების წილი, რომლებმაც წარმატებით მოახერხეს სოციალურ-ეკონომიკური და ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევების გადალახვა, ცნობილი არ არის და დამატებით შესწავლას საჭიროებს. ე.წ. ფილტრი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დაწესდა, ერთ სულზე 1,250 ლარის ოდენობის რეგულარული თვიური შემოსავალია; პირებს, რომელთა შემოსავალი ამ ზღვარზე მაღალია, აღარ აქვთ უფლება იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური 135 ლარიანი სოციალური დახმარება მიიღონ.

2004 წლიდან საქართველოს მთავრობა ეკომიგრანტების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფადაც გამოყოფს თანხებს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, ამ მიზნით, ბოლო ათწლეულის მანძილზე 7.2 მილიონი ლარი გამოიყო და 1,186 სახლი და ბინა იქნა შეძენილი. მხოლოდ 2010-2014 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.6 მილიონი ლარი გამოიყო, ხოლო სხვა წყაროებიდან - 395,000 ლარი.

ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების მოსახლეობა

რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის - მოქალაქეთა მასიური „პასპორტიზაცია“ 2000-იან წლებში დაიწყო. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეებზე გაცემული რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ყველა პასპორტი არალეგალურად და ბათილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიერ საქართველოსთან კავშირის შენარჩუნების მიზნით, 2011 წლიდან პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები გაიცემა. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრებ პირებს საშუალებას აძლევს, რუსეთის ფედერაციის და საქართველოს პასპორტების მიღების გარეშე იმოგზაურონ საზღვარგარეთ; ხოლო პირადობის ნეიტრალური მოწმობა მათ საშუალებას აძლევს გადაადგილდნენ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით. ორივე დოკუმენტს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გასცემს.

ცხრილი 52: 2011-2014 წლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ პირებზე გაცემული პირადობის ნეიტრალური მოწმობები და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები

ბინადრობის ადგილი	სამგზავრო დოკუმენტი	პირადობის მოწმობა	მამაკაცი	ქალი	სულ
აფხაზეთი	32	267	129	170	**299**
ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი	1	13	6	8	**14**
სულ	33	280	135	178	**313**

წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

როგორც 52-ე ცხრილშია ნაჩვენები, პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ოკუპირებული აფხაზეთის მაცხოვრებლებს შორის, ვიდრე ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებში. ნეიტრალურ დოკუმენტებზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა 2012 წელს დაფიქსირდა და თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

მოქალაქეობის არმქონეობის შემცირება

პირი მოქალაქეობის არმქონედ ითვლება, თუ მას არცერთი ქვეყანა არ თვლის თავის მოქალაქედ. საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ადგენს. ბოლო 5 წლის მანძილზე, საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მოქალაქეობის არმქონე პირთა გამოვლენის, მათი ნატურალიზაციის ხელშეწყობის და მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების კუთხით. მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთო რაოდენობა 1,987-დან (2010 წ.) 700-მდე (2014 წ.) შემცირდა. იმავე პერიოდში, საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით 1,117 მოქალაქეობის არმქონე პირმა მიიღო. საქართველოს მოქალაქეთა მსგავსად, მოქალაქეობის არმქონე პირებს ყველა სოციალური დახმარების პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ.

დიაგრამა 14: მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა და მათ მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სტატისტიკა (2010-2014 წწ.)



წყარო: *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

ნაწილი C. მიგრაციის მართვა

C1. მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო

ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მიგრაციის პოლიტიკის განვითარებაში, რაც ეროვნულ დონეზე მიგრაციის თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნას გულისხმობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინსვლა სტრატეგიული დაგეგმვის, მიგრაციის მართვისა და ადმინისტრირების და მიგრაციის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით.

სტრატეგიული დაგეგმვა

მიგრაციის მართვისა და პოლიტიკის დახვეწის თვალსაზრისით შემუშავდა მთელი რიგი სტრატეგიული დოკუმენტები, რაც მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს პირველი მიგრაციის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის შემუშავდა. არსებული დოკუმენტების გადახედვის საფუძველზე 2015 წელს ახალი, 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა, რომელიც მიღებული იქნა 2015 წლის ბოლოს და ფარავს 5 წლიან პერიოდს, ხოლო სამოქმედო გეგმა - 2 წელს.[140] ასევე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიღებულ იქნა სხვა შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები: საქართველოს 2014-2018 წლების სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია; 2015 წელს შემუშავებული და დამტკიცებული მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფცია, რომელსაც თან ერთვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული 2015-2018 წლების შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია; საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.); ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია (2014-2017 წწ.) და ახლახან მიღებული, პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია (2015-2017 წწ.). დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე მუშაობს „საქართველოს დიასპორებთან ურთიერთობის სტრატეგიაზე". სტრატეგიის პროექტი უკვე გადაეცა შესაბამის სახელმწიფო, ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს.

მიგრაციის მართვა

საზღვრის ერთიანი მართვის რეფორმა 2005 წელს დაიწყო და 2014 წლის მდგომარეობით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე ადამიანური რესურსების განვითარების თვალსაზრისით. უკვე მოქმედებს საზღვრის ერთიანი მართვის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბაჟოს მონაცემთა წვდომას საპასპორტო, შემოსავლების სამსახურისა და საპატრულო პოლიციის მონაცემთა ბაზებთან. საქართველოს საზღვრის მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საზღვრის დემარკაციის დასრულება აზერბაიჯანთან, სომხეთსა და რუსეთის ფედერაციასთან.

დოკუმენტების უსაფრთხოება

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და სწრაფ პროგრესს მიაღწია დოკუმენტების უსაფრთხოების მიმართულებით. 2010 წლიდან დაინერგა ბიომეტრიული პასპორტებისა და ელექტრონული პირადობის მოწმობები. ამ პროგრესმა ასევე ხელი შეუწყო საზღვრის მართვასა და ევროკავშირთან სავიზო დიალოგის წახალისებას. 2014 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულია 796,494 საქართველოს მოქალაქის ორდინალური ბიომეტრიული პასპორტი, 552 სამგზავრო ბიომეტრიული პასპორტი (მოქალაქეობის არმქონე პირთათვის) და 99 სამგზავრო ბიომეტრიული დოკუმენტი (ლტოლვილთათვის).

თავშესაფრის სისტემის მართვა

საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო კონვენციებთან ჰარმონიზაციისა და თავშესაფრის მქონე პირთა დაცვისა და ინტეგრაციის ასპექტების გაუმჯობესების მიზნით, თავშესაფრის არსებული პოლიტიკის გადახედვა 2011-2012 წლებში მოხდა. მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის სფეროში. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან დაარსდა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება და იქმნება თავშესაფართან დაკავშირებული კომპლექსური ელექტრონული

[140] სამოქმედო გეგმა განახლდება 2018-2020 წლებისთვის.

მონაცემთა ბაზა. 2015 წელს მნიშვნელოვანი პროცედურული ცვლილებები შევიდა ლტოლვილთა შესახებ არსებულ კანონმდებლობაში. ამასთან, საერთაშორისო დაცვის შესახებ ახალი კანონის მიღება დაგეგმილია 2016 წელს.

უცხოელთა ქვეყანაში შემოსვლისა და გადაადგილების მართვა

საქართველოს სავიზო და ბინადრობის პოლიტიკაში რეფორმები 2014-2015 წლებში განხორციელდა. შემოღებული იქნა *შენგენის* სავიზო კოდექსის სისტემის მსგავსი, ვიზის ახალი კატეგორიები (A, B, C, D და T), რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია მანამდე გაცემულ ვიზის კატეგორიებთან. 2015 წელს, ასევე დაინერგა ელექტრონული ვიზები. უცხოელებს შეუძლიათ ინტერნეტის მეშვეობით გააკეთონ განაცხადი და მიიღონ საქართველოს ვიზა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი ვებ-გვერდის მეშვეობით.[141]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი ხელს უწყობს ქვეყანაში შემოსულ უცხოელთა ნაკადების მართვის გაუმჯობესებასა და მათი სამართლებრივი სტატუსის ცვლილების კონტროლს.

დაბრუნებისა და რეადმისიის მართვა

საქართველომ და ევროკავშირმა 2010 წელს ხელი მოაწერეს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს, ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმებასთან ერთად. რეადმისიის პირობები, რეადმისიას დაქვემდებარებული პირის გადაცემის ფორმები და სხვა დეტალები განისაზღვრება საიმპლემენტაციო ოქმებით ევროკავშირის წევრ ცალკეულ სახელმწიფოებთან ორმხრივ ფორმატში. აღნიშნული საიმპლემენტაციო ოქმები საქართველოს უკვე გაფორმებული აქვს რამდენიმე ქვეყანასთან,[142] უმეტეს მათგანთან ოქმები შემუშავების პროცესშია. მსგავსი შეთანხმებები მზადდება ასევე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან. ასევე ევროკავშირის სტანდარტების გათვალიწინებით დაიხვეწა საქართველოდან კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გაძევების პროცედურები. გარდა ზემოაღნიშნულისა 2014 წელს თბილისში გაიხსნა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულია.

მიგრაციის სტატისტიკა

ბოლო წლებში წამოწყებული, ტექნიკურად ერთ-ერთი ურთულესი პროექტი არის მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის შემუშავება - მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი მონაცემების სინქრონიზაციას მოახდენს. ერთიანი მონაცემთა ბაზა გულისხმობს ქვეყანაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების განვითარებას და აქედან გამომდინარე, მიგრაციის მართვის გაუმჯობესებას. მოსალოდნელია, რომ სისტემა მნიშვნელოვნად დაეხმარება მიგრაციის პროფილის დოკუმენტის რეგულარულ განახლებას და მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის განვითარებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიღებითა (2011 წ.) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ ამ კანონის განხორციელების აქტიური მონიტორინგის შედეგად, ნიადაგი მომზადდა, რათა მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის

[141] https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/

[142] საიმპლემენტაციო ოქმები ინდივიდუალურად იქნა რატიფიცირებული და ხელმოწერილი უნგრეთთან, ბულგარეთთან, ესტონეთთან, ავსტრიასთან, გერმანიასთან, ბელგიასთან, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგთან. ევროკავშირის წევრ ქვეყნების გარდა, საქართველოს რეადმისიის შესახებ შეთანხმებები გაფორმებული აქვს უკრაინასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან (შეთანხმებათა სია მოძიებული იქნა codex.ge-ზე).

შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. სისტემის შემუშავება 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება და იგი მნიშვნელოვნად გაზრდის მიგრაციის სტატისტიკის ხარისხსა და სანდოობას.

C2. საკანონმდებლო ჩარჩო

ბოლო 5 წლის განმავლობაში, მიგრაციის მართვის სფეროში მიღებული იქნა 3 ძირითადი ახალი კანონი:

A. 2014 წლის ივნისიდან მოქმედებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. ახალმა კანონმა გაამარტივა საქართველოს მოქალაქეობის დადგენა და ახლებურად დაარეგულირა ნატურალიზაციის პროცედურები. უფრო მეტიც, კანონი სრულ შესაბამისობაშია „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაერო-ს 1961 წლის კონვენციასთან;

B. 2014 წლის სექტემბერში ძალაში შესულმა საქართველოს ახალმა კანონმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დააწესა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ახალი რეგულაციები, შემოიღო ვიზისა და ბინადრობის ნებართვის ახალი კატეგორიები და შექმნა საქართველოში არალეგალურად მყოფ პირთა გაძევების მექანიზმები. კანონის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები 2015 წელს გამოსწორდა, როდესაც კანონში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რის შედეგადაც გამარტივდა ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ცალკეული რეგულაციები;

C. 2015 წლის ნოემბრიდან მოქმედი საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“, უმეტესწილად არეგულირებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაციის ნორმებს, კერძოდ, შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით ემიგრაციას. საქართველოში ლეგალურად მცხოვრებ უცხოელთა წვდომა საქართველოს შრომის ბაზარზე არ იზღუდება.

<u>საერთაშორისო მიგრაციის სხვადასხვა სფეროების მომწესრიგებელი კანონები:</u>

- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (1993 წ.);
- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ (1996 წ.);
- საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998 წ.);
- საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წ.);
- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წ.);
- საქართველოს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ (2011 წ.);
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2011 წ.);
- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ (2011 წ.).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული სტრატეგიული დოკუმენტები და შეთანხმებები წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია და როგორ უნდა დარეგულირდეს მიგრაციის მართვის სფერო საქართველოში. ეს დოკუმენტებია: „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ,

ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA)“, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი“ და „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“.

C3. ინსტიტუციური ჩარჩო

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია 2010 წელს, საქართველოს მთავრობის № 314 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა. დადგენილების თანახმად, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიზანია მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება (მუხლი 1). აღნიშნული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს შესაბამის უწყებათა შორის გაუმჯობესებული კოორდინაციით, მიგრაციის მიმდინარე საკითხებზე ექსპერტული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებით და სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე პოლიტიკის განვითარების შესახებ წინადადებების მომზადებით.

მოგვიანებით, 2012 წელს, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო. სამდივნოს ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კომისიის რეგულარულ საქმიანობას და უზრუნველყოს მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ექსპერტული დასკვნების მომზადება. კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

ილუსტრაცია 1. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები



მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია აერთიანებს 13 სახელმწიფო უწყების მაღალი რანგის წარმომადგენლებს:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

კომისიის თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი, ხოლო თანათავმჯდომარე - შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

კომისიაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე 12 ორგანიზაციაა: 7 საერთაშორისო ორგანიზაცია და 5 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია:

<u>საერთაშორისო ორგანიზაციები:</u>

- ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში (EU Delegation);
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM);
- გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR);
- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD);
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);
- ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC).

<u>ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:</u>

- სამოქალაქო განვითარების სააგენტო;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი;
- მიგრაციის ცენტრი;
- საქართველოს გაერო-ს ასოციაცია.

საკონსულტაციო წევრთა არსებობის მიზანია, კომისიის დამატებითი ექსპერტული რესურსებით უზრუნველყოფა და რეგულარული დარგობრივი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცვლის წახალისება.

კომისიაში მოქმედებს თემატური სამუშაო ჯგუფები. 2015 წლისათვის 6 სამუშაო ჯგუფი მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

- მოქალაქეობის არმქონეობის სამუშაო ჯგუფი;
- სარეინტეგრაციო საკითხების კონსოლიდაციის სამუშაო ჯგუფი;

- მიგრაციის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი;
- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონის საზედამხედველო ჯგუფი;
- მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი;
- მიგრაციის რისკების ანალიზის სამუშაო ჯგუფი.

შესაბამის სფეროში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფები პასუხისმგებელნი არიან ახალი საკანონმდებლო პროექტების შემუშავებაზე და მათ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციაზე, ან დარგთაშორისი დიალოგის კოორდინაციის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რეინტეგრაციის პროგრამები და მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემა.

ნაწილი D. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

D1. ძირითადი მიგნებების ანალიზი

გლობალურ მიგრაციულ სისტემაში ჩართვის შედეგად, საქართველოში თანდათან იცვლება საერთაშორისო და შიდა მობილურობის ფორმები. დღეს ემიგრაციისა და სატრანზიტო ქვეყნის სტატუსთან ერთად, საქართველო დანიშნულების ქვეყანადაც გვევლინება, სადაც სულ უფრო მეტი ლეგალური იმიგრანტი ჩამოდის გრძელვადიანი მიზნებით. საქართველოს მოქალაქეები საერთაშორისო შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე რეაგირებენ და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების მქონე ქვეყნებში მიდიან ემიგრაციაში, სადაც მათ მიერ შექმნილი დიასპორული გაერთიანებები საკმაოდ შესამჩნევ როლს თამაშობს. ამასთანავე, საქართველოს ემიგრანტების უმრავლესობას დანიშნულების ქვეყნებში ჯერ კიდევ არ აქვს ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთები, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მათ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების სათანადოდ ასახვის მიზნით, ზემოთ მოცემულ მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობითა და მიგრაციის მართვის სფეროს შეფასების საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მიგნებების გაკეთება:

- 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებების თანახმად, საქართველოს მოსახლეობა 600,000-ზე მეტით შემცირდა 2002-2014 წლებში;
- სოფლად და ქალაქად მოსახლეობის გადანაწილება იცვლება ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის წილის ზრდის ხარჯზე;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთა რაოდენობა იმ ქვეყნებიდან, სადაც შიდა კონფლიქტებია, ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა და მათი განაცხადების რაოდენობამ 2014 წელს 1,800 მიაღწია; ეს ზრდა ძირითადად განაპირობა თავშესაფრის მაძიებელ პირთა შედარებით დიდი რაოდენობით შემოსვლამ ერაყიდან და უკრაინიდან და შედარებით ნაკლები რაოდენობით - სირიიდან;
- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეინიშნება საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია;
- ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. ფულად გზავნილებზე ზეგავლენას კვლავ ახდენს ეკონომიკური კრიზისი ქართველ ემიგრანტთა დანიშნულების ქვეყნებში. თუმცა, მათ ასევე ახასიათებთ სწრაფი აღდგენისა და შემდგომი ზრდისკენ მიდრეკილება;

- ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებაში. თუმცა, საქართველოში გამოგზავნილი თანხების საკმაოდ მცირე რაოდენობის ინვესტირება ხდება წარმოებაში. უფრო მდგრადი ზეგავლენის მისაღწევად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა სპეციალური პროგრამები შეიმუშაონ, რომლებიც ხელს შეუწყობს ემიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს, ფულადი გზავნილების წარმოებაში ინვესტირებაში;
- იმიგრანტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა საქართველოში სამეწარმეო მიზნებით ჩამოდის და მათ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესებაში;
- იმიგრანტ სტუდენტთა მზარდმა რაოდენობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას;
- საქართველოში არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო სტანდარტების თანახმად მოქმედი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი განთავსების ცენტრის შექმნა;
- ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მნიშვნელოვან სამუშაოს ახორციელებენ;
- გრძელდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მიგრაციის მართვისა და პოლიტიკის განვითარების სფეროში და მას დადებითი შედეგები მოაქვს. ქვეყანაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რამდენიმე ფართომასშტაბიანი პროექტი მიმდინარეობს, კანონმდებლობა ძირითად მიმართულებებში შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროკავშირის სტანდარტებთან და ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებიც წარმატებით ხორციელდება;
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია ეფექტიანად წარმართავს ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკის განვითარებასა და მიგრაციის მართვას;
- მიგრაციის მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, უკვე მოქმედებს რამდენიმე ელექტრონული მონაცემთა ბაზა (მაგალითად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სახის ამომცნობი სისტემა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის ელექტრონული პროგრამა); შემუშავების აქტიურ სტადიაზეა მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემა, რომლის ამოქმედება დაგეგმილია 2016 წლიდან.

D2. ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები

ძირითადი გამოწვევები	რეკომენდაციები
მიგრაციის სფეროში მონაცემთა შეგროვება	
მიგრაციის სტატისტიკისა და ანალიზის გაუმჯობესება: გამოწვევად რჩება საქართველოში ეროვნულ დონეზე მიგრაციის სფეროში სანდო სტატისტიკური მონაცემების არსებობა, რის გამოც მეცნიერები და პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული პირები იძულებულნი არიან სხვადასხვა სახის	მიგრაციის მონაცემთა კომპლექსური ანალიზისათვის აუცილებელია საფუძველი ჩაეყაროს მიგრაციის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის რეგულარულ პრაქტიკას, რათა შესაძლებელი გახდეს მათი დინამიკის შესწავლა. ამ თვალსაზრისით, რეკომენდებულია რეგულარული სოციალურ-ეკონომიკური კვლევების პრაქტიკის დანერგვა

შეფასებითი მონაცემები გამოიყენონ. მიგრაციის სფეროში, ასევე აუცილებელია მეტი აკადემიური კვლევების ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, სავარაუდოდ, უფრო სანდო მონაცემებს მოგვაწვდის მიგრაციული ნაკადებისა და მიგრანტთა ჯგუფების რაოდენობების შესახებ, საყოველთაო აღწერის მონაცემები საქართველოში მიგრაციის მდგომარეობის მხოლოდ ერთჯერად/მყისიერ სტატისტიკურ სურათს წარმოადგენს. ამიტომ, მნიშვნელოვანია მონაცემთა რეგულარულად შეგროვება არსებული და მომავალი მიგრაციული ტენდენციების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის.	შემდეგ სფეროებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გაძლიერების ან დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციებისთვის დაფინანსების საშუალებით): • იმიგრანტთა ინტეგრაცია; • დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია; • ეკომიგრანტთა ინტეგრაცია; • იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია; • მიგრაციისა და განვითარებას შორის არსებული ურთიერთკავშირი; • მიგრანტთა ნაკადების დინამიკა; • იმიგრაცია და შრომის ბაზრის განვითარება; • მიგრაცია და ჯანმრთელობა; • შიდა მიგრაცია; • მიგრანტთა მიერ დატოვებული ბავშვები და ხანდაზმულები.
მიგრაციის მართვა	
ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაუმჯობესება: შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის მიუხედავად, არსებული მონაცემები და შეფასებები გვიჩვენებს, რომ საქართველოდან ემიგრანტთა ერთი ნაწილი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება; მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებები არ არის სრულად დაცული; ისინი შესაძლოა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ.	ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების ხელშესაწყობად რეკომენდებულია: 1) გაგრძელდეს მიგრაციის ცირკულარული სქემების განვითარების ხელშეწყობა; 2) სოციალური შეღავათების/საპენსიო სქემების განვითარება საქართველოდან ემიგრანტთა დანიშნულების ძირითად ქვეყნებთან ერთად; 3) არალეგალური მიგრაციისა და განსაკუთრებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერება.
მიგრაცია და განვითარება	
მიგრაციასა და განვითარებას შორის არსებული კავშირების გათვალისწინება ქვეყნის განვითარების დღის წესრიგში: მიგრაციასა და განვითარებას შორის არსებული კავშირის მნიშვნელობა უკვე აღნიშნულია 2016-2020 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაში, მაგრამ საჭიროებს შემდგომ გავრცობას. მიგრაციული პროცესების თანმდევი განვითარების (როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-კულტურული) პოტენციალის გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანია მისი მაქსიმალურად	იმისთვის, რომ სრულად იქნას გამოყენებული მიგრაციის პოტენციალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშესაწყობის მიზნით, რეკომენდებულია: 1) როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე შემუშავებულ ეკონომიკის განვითარების სტრატეგიებში გათვალისწინებულ იქნას მიგრაციასა და განვითარებას შორის არსებული კავშირები, და 2) ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ემიგრანტების, დაბრუნებული მიგრანტებისა და

გამოყენებისთვის.	იმიგრანტების უნარების, ფინანსური და ადამიანური კაპიტალის წარმატებით გამოყენებას.
მიგრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა	
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების ადგილებში ინტეგრაციის ხელშეწყობა: ეკომიგრანტთა საკმაოდ დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და განავითაროს ეკომიგრანტთა ინტეგრაციის მექანიზმები.	ეკომიგრანტთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი განსახლების ადგილებში წარმატებული ინტეგრაციის ხელშესაწყობად რეკომენდებულია არსებული სამართლებრივი ჩარჩოს განახლება, რათა განისაზღვროს ეკომიგრანტთა ინტეგრაციის პროცედურები.

ინსტიტუციური თანამშრომლობის არსებულ მექანიზმებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენილა. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია და მისი სამდივნო წარმოადგენს ძირითად ორგანოს, რომელიც ახორციელებს კოორდინაციას მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის. შესაბამისად, რეკომენდებულია გაგრძელდეს მხარდაჭერა, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი სამდივნოს მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობა აქტიურად მონაწილეობს მიგრაციის მართვის სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში და თანამშრომლობს სხვა ქვეყნებთან. მიმდინარეობს მიგრაციის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდეს. ამასთანავე, ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკისა და მართვის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია, შესწავლილი იქნას ახალ საერთაშორისო პროგრამებში და სქემებში ჩართვის პოტენციალი.